# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 12 ივლისი 2008 №159 (3383) ფასი 50 თეთრი

# ფოლკერ ფინკემ, რა თქმა უნდა, თქვა: ბრწყინვალეა!

## ბრწყინვალეა თუ არა, ფინკეს ვარიანტი საქართველოსთვის, მალე გამოჩნდება



ეროვნული ბიბლიოთეკა

# იაშვილი აუქციონზეა




**10 ივნისიდან** გერმანული „კარლსრუეს" ოფიციალური ვებგვერდის აუქციონზე ალექსანდრე იაშვილის ავტოგრაფიანი მაისურაა გამოტანილი.

ეს მაისურა იაშვილს 19 მაისის მატჩში („კარლსრუე" — „სპორტის ვარსკვლავები") ეცვა.

მაისურის დღევანდელი ფასი 68 ევროა და მისი შეძენა ინტერნეტის საშუალებით, ნებისმიერ მსურველს შეეძლება.

აუქციონი 20 ივლისის 21 საათამდეა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# დიორი ზესტაფონამდე

**ზესტაფონელთა** საუეფასთასო მეტოქე უნგრული „დიორ ეტო", იმერლებთან შესახვედრად მზადებას ავსტრიაში აგრძელებს და მორიგი საკონტროლო მატჩიც გამართა.

მადიარები უკრაინულ „კარპატის" გაეჯიბრნენ — მატჩი 1:1 დასრულდა.

„დიორი" ზოლტან კოვაჩის გოლით დაწინაურდა, თუმცა ლვოველებმა პირველივე ტაიმში აღადგინეს წონასწორობა.

„იდეალური ფორმისგან ჯერ შორს ვართ, თუმც „ზესტაფონთან" მატჩამდე უკეთესობა იქნება" — განაცხადა ნამატჩევს გუნდის თავკაცმა შანდორ ედერვარმა.

„დიორმა" უკრაინელების წინააღმდეგ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *სტევანოვიჩი, პინტერი (ვოლგი 65), ფომუმბოდი, სუპიჩი (ბანკი 55), ნიკოლოვი (ტოკოდი 55), ბიცაკი, ჟაკლი, კოლტაი (პაკოლიჩი 55), ბოორი, ბაიზატი, ზ. კოვაჩი (ბრნოვიჩი 65).*

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ლილუაშვილი იშტაზე




**ინტერტოტოს** თასიდან გავარდნილი ირაკლი ლილუაშვილის „ნიტრა" სლოვაკეთის ჩემპიონატისთვის მზადებას აგრძელებს. სეზონისწინა მორიგი ამხანაგური მატჩი „ნიტრამ" უნგრულ „ფეჰერვართან" გამართა — 2:2.

ლილუაშვილმა მეორე ტაიმი ითამაშა და 78-ე წუთზე გამთანაბრებელიც გაიტანა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# იმედაშვილი ისევ კიევშია

**დავით იმედაშვილი** არსად წასულა — ისევ კიევის „დინამო 2"-შია და გუშინ ტესტ-მატჩშიც ითამაშა „დინამო 3"-თან. ქართველი მცველ-ნახევარმცველი პირველ ტაიმში იყო მინდორზე და ერთ საგოლე კომბინაციაში მიიღო მონაწილეობა.

მატჩი კი „დინამო 2"-მა 2:0 მოიგო. არ არის გამორიცხული, უახლოეს დღეებში იმედაშვილი რომელიმე უკრაინულ გუნდში გაანათხოვრონ.

**ლუკა თალაკვაძე**

## ამხანაგური მატჩები

მ. თელ ავივი 1:2 აშდოდი
მ. ჰაიფა 2:0 ბნეი იეჰუდა
ზაგლები 1:1 ლეხია
ამაგერი 0:4 დეპორტივო
ორჰუსი 1:2 ვიბორგი
ზაარბრიუკენი 3:2 შტუტგარტი
აარაუ 1:1 ვოლფსბურგი
ბოხუმი 2:3 ბეშიქთაში
ბორდო 2:1 აიაჩო
ბრენტფორდი 0:2 იფსვიჩი
იორკი 1:1 ლიდსი
ბაბელსბერგი 0:1 დ. დრეზდენი
ბასტია 1:2 დინამო (ბუქ.)
ნიორი 1:0 ნავალი
ვადუცი 2:5 ბელხატუვი
მორავცე 0:0 ჟიჟკოვი
ლილი 2:0 რეიმსი
კოტბუსი 0:1 მიდტიულანდი

## აშშ

მეიჯორ ლიგა
გადადებული მატჩები

კანზასი 2:1 ნიუ იორკი
ლოს ანჯელესი 1:1 ჩივასი

## ირლანდია

პრემიერლიგა
XVIII ტური

დერი 4:0 ბრეი
გალვეი 1:1 სლიგო
დუბლინი 0:2 შემროკი
ფინ ჰარპსი 0:1 კორკი
ბოჰემიანსი — დროჰედა
*გადაიდო*

## ბრაზილია

სერია A
X ტური

იპატინგა 2:2 კრუზეირო
პალმეირასი 1:1 ფიგეირენსე
ვასკუ და გამა 4:0 სპორტ რესიფე

## ავსტრია

I დივიზიონი
I ტური

ლუშტენაუ 1:1 გრატკორნი
ადმირა 0:1 აუსტრია (მ)
სტ. პოლტენი 2:0 ზალცბურგი (მ)
გრიოდიგი 2:0 აუსტრია (ლ)
ვიოკალბრუკი 0:0 ლეობენი



# ლოკომოტივმა ჭელიძე შეიმატა

**თბილისის** „ლოკომოტივი" რომ ურეკში წავიდა შეკრებაზე, „სარბიელის" მკითხველს კარგად მოეხსენება.

თბილისელები 10 ივლისს ჩავიდნენ ზღვისპირეთში. გიორგი კიკნაძე და ზაზა ზამთარაძე შეგირდებს სიქას აცლიან — დღეში სამჯერადი ვარჯიშები აქვთ. ზამთარაძის თქმით, 15 ივლისს ტესტ-მატჩიც აქვთ დაგეგმილი ფოთის „კოლხეთთან", 17 ან 18 ივლისს კი ბოლნისის „სიონთან" მოსინჯავენ ძალებს.

„ლოკომოტივში" სიახლეც არის — გუნდთან ერთადაა გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე და მისი დარჩენა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი ყოფილა.

„ლოკომოტივი" ურეკიდან 21 ივლისს დაბრუნდება.

**ნუკრი ლოლაძე**

# ფრაიბურგი თარგამაძეს ვერაფრით თმობს...



**გუშინდელ** „სარბიელში" ვწერდით, რომ ახალგაზრდა დავით თარგამაძით „მიონხენგლადბახიც" დაინტერესდა. მოგეხსენებათ, „ფრაიბურგის" 19-წლამდელთა გუნდი, სადაც თარგამაძე ირიცხებოდა, გერმანიის ჩემპიონი გახდა და ამაში თავისი წვლილი ქართველმაც შეიტანა. თარგამაძის თამაშით მოხიბლული გერმანული კლუბები დაფაცურდნენ და ჯერ „კარლსრუემ" გამოთქვა მისი შეძენის სურვილი, ახლახანს კი „მიონხენგლადბახიც" სერიოზულად დაინტერესდა და „ფონდ არველაძესთან" აქტიური მოლაპარაკებაც წამოიწყო, თუმცა „ფრაიბურგს" თარგამაძე არ ეთმობა და 4-წლიან კონტრაქტსაც სთავაზობს, ქართულ მხარეს კი ორ წელზე მეტი არ სურს. როგორც ფრაიბურგელები ამბობენ, დიდი შანსია, ახალ სეზონში თარგამაძე ძირითად გუნდში ვიხილოთ.

**კობა ინასარიძე**

# არ დაგავიწყდეთ ხიზანიშვილი!




**ინგლისური** პრემიერლიგის სეზონი კარგა ხანია, დასრულდა, თუმცა იქაურმა ჟურნალისტებმა „ბლექბერნის" გასული სეზონის დაცვის ხაზი შეაფასეს და საკმაოდ დადებითადაც. „ბლექბერნის" დაცვაში კი ზურაბ ხიზანიშვილი ირჯებოდა, მართალია, შედარებით იშვიათად, მაგრამ საქებარი სიტყვები არც მისთვის დაუშურებიათ.

„როცა „ბლექბერნის" დაცვაზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს ზურაბ ხიზანიშვილი და ანდრეს ოიერი, რომელთაც მძაფრი კონკურენცია ჰქონდათ ნილსენთან და სამბასთან და მეტ დროს სათადარიგოთა სკამზე ატარებდნენ. განსაკუთრებით ხიზანიშვილი, რომელიც შეცვლებზე არ შეჰყავდათ, მაგრამ ძირითადში აყენებდნენ ხოლმე და არა მარტო საგანგებო სიტუაციაში, არამედ მაშინაც, როცა მისი კონკურენტები სრულ მზადყოფნაში იყვნენ" — წერს ბრიტანული პრესა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# სიმურგამდე კახელიშვილია

**დღეს** ბოლნისის „სიონი" „თემურ სტეფანიაზე" აზერბაიჯანულ „სიმურგს" გაეჯიბრება ამხანაგურად და სანამ ბოლნისელები „სიმურგთან" მოსინჯავენ ძალებს, შევიტყვეთ, რომ აქტიურ მოლაპარაკებას აწარმოებენ რუსთავის „ოლიმპთან" — მათ გიორგი კახელიშვილის გადაბირება სურთ.

ცოტა ხნის წინ კახელიშვილი ლატვიურ „დინაბურგში" ისინჯებოდა, თუმც ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. იქედან დაბრუნებულმა კახელიშვილმა საქართველოში არ დავრჩებიო და, ვნახოთ, რა გამოუვა „სიონს".

ბოლნისელები 15 ივლისს გრიგოლეთში წავლენ შეკრებაზე და 17 ან 18 ივლისს თბილისის „ლოკომოტივთან" გამართავენ ტესტ-მატჩს.

# კახას და ანუკის კიევური ვიზიტი



**საქართველოს** ეროვნული ნაკრების კაპიტან კახა კალაძეს იტალიასა თუ უკრაინაში ხშირად ეპატიჟებიან სხვადასხვა წვეულებებსა და პრეზენტაციებზე, სადაც მაღალი საზოგადოება იყრის თავს.

ამჟამად კალაძე უკრაინაშია და მის იქაურ ვოიაჟსაც არ ჩაუვლია გამონაკლისის გარეშე — კახა კიევურ რესტორან „ბუდა-ბარის" პრეზენტაციაზე დაპატიჟეს, სადაც საცოლესთან, ანუკა არეშიძესთან ერთად გამოჩნდა.

რესტორნის პრეზენტაციას უკრაინის პრეზიდენტის შვილი, ანდრეი იუშჩენკოც ესწრებოდა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ფოლკერ ფინკე: მინდა საქართველოში!

## გერმანელი ხორვატის გზაზე — ეროვნული, საგურამო, ბაზა...

**გუშინ** თბილისში მყოფი საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატი, 60 წლის გერმანელი ფოლკერ ფინკე ახლა უკვე შინ იქნება და ალბათ ფეხბურთის ფედერაციის წინადადებაზე საბოლოო სიტყვის სათქმელად ემზადება...

გერმანელი სპეციალისტი გუშინ გამთენიისას ჩამოვიდა და აეროპორტში პირველი ნაცნობი ვინც ნახა, თავისივე ყოფილი შეგირდი ლევან ცქიტიშვილი იყო. ფინკეს სწორედ ცქიტიშვილი დახვდა და პირველი მასპინძლობაც მან გაუწია.

დილით კი მწვრთნელი უკვე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის გარემოცვაში აღმოჩნდა და, ცხადია, მათი თანხლებით ეროვნულ სტადიონს მიაშურა: „კარგად ვიცი ქართული ფეხბურთი და კიდევ უკეთესად, თუ რომელ სტადიონზე ვარ ახლა“ — ფინკემ „ეროვნულის“ მოედანზე შეაბიჯა და აი, ეს სიტყვები თქვა. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ გერმანელი მწვრთნელი „ეროვნულზე“ ადრეც ყოფილა, ოღონდ მხოლოდ ტრიბუნაზე, ის საქართველო — იტალიის იმ შეხვედრას ესწრებოდა, რომელიც ჩვენებმა 1:2 დათმეს.

მასპინძლებმა ფინკეს ეროვნული სტადიონი ლამის კუნჭულ-კუნჭულ დაათვალიერებინეს და ბოლოს ყველანი ერთად საკონფერენციო დარბაზში აღმოჩნდნენ. ფინკე ძალიან დაინტერესდა ქართული ფეხბურთის დიდების ამსახველი ფოტო-კადრებით და ჩვენთვის საამო ერთი-ორი ძველი ამბავი თავადაც გაიხსენა. ჩამოუარა გერმანელმა ამ ფოტოებს და მერე ჟურნალისტთა კითხვებზე საპასუხოდ მოემზადა. მთავარიც აქვე ვთქვათ — ფინკე, მეტი რომ არ შეიძლება, ისეა დაინტერესებული საქართველოს ნაკრებში მუშაობით...

— როგორც უკვე ვთქვი, ქართულ ფეხბურთს საკმაოდ კარგად ვიცნობ და ჩემი ეს ვიზიტიც აუცილებელი იყო აქაურობას კიდევ უკეთ გასაცნობად. დღეს ფეხბურ-



## პასუხი მალე იქნება

თის ფედერაციის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებებს გავაგრძელებ და ვნახოთ, რა გამოვა. წინასწარ რა გითხრათ, ჩვენ პროფესიონალები ვართ და მოლაპარაკებების დასრულებამდე სიფრთხილე გვმართებს, ჯერ ვერანაირ დასკვნას ვერ გავაკეთებ. ფეხბურთში არის საიდუმლოებები და არ გვეკადრება, რომ ეს გავამხილოთ. მთავარი ნდობის ფაქტორია, რასაც ფეხბურთის ფედერაციის მხრიდან თავად ვგრძნობ კიდეც.

— გავიმეორებ, ვიცნობ ქართულ ფეხბურთსა და ქართველ ფეხბურთელებს, მეტიც ბევრ სხვა მწვრთნელზე უკეთესადაც კი ვიცნობ. ამიტომაც, როცა საქართველოში მოვდიოდი, კლაუს ტოპმიოლერთან კონსულტაციები არც დამჭირვებია. საქართველოში მუშაობა მსურს.

— ლევან კობიაშვილი, ალექსანდრე იაშვილი, ლევან ცქიტიშვილი, ოთარ ხიზანეიშვილი, გიორგი კიკნაძე, ზაზა ზამთარაძე — ყველა ეს ფეხბურთელი „ფრაიბურგში“ ჩემი მწვრთნელობისას თამაშობდა და ყოველთვის ვცდილობდი, თითოეული ქართველი ფეხბურთელის მენტალიტეტი შემესწავლა, ჩავწვდომოდი მათ ფსიქოლოგიას. დიდი ხანი ერთად ვიყავით და ვფიქრობ, ქართულ ხასიათს. უკვე კარგად ვიცნობ. „ფრაიბურგში“, ასე ვთქვათ, ორი დაჯგუფება იყო — ქართული და ტუნისური. ძალიან მეგობრული გუნდი გვყავდა და ჩვენი გაქანების კლუბისთვის საკმაოდ წარმატებითაც ვთამაშობდით.

— ესტონეთთან და პორტუგალიასთან საქართველოს ნაკრების ბოლო მატჩები ვნახე და მთავარი პრობლემა, რაც მენიშნა, ისაა, რომ გუნდში დარღვეულია ასაკობრივი ბალანსი. ნაკრებში თამაშობენ 17-21 და 28-30 წლის ფეხბურთელები. თაობებს შორის, ვფიქრობ, საკმაოდ დიდი ვაკუუმია, რისი გამოსწორებაც მთლად იოლი საქმე არ არის. თუმცა, ცხადია, შეუძლებელი არაფერია.

— ახლა თბილისში ვარ და ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს, რომ საქართველოს ნაკრები ჩემთვის გამოწვევა და აქ მუშაობაზე სერიოზულად ვფიქრობ. მაშინ, როცა „ფრაიბურგს“ ვხელმძღვანელობდი, სხვადასხვა ნაკრების მწვრთნელებთან მქონდა ურთიერთობა. საქართველოს ნაკრების მწვრთნელად თუ დავინიშნე, უკვე თავად მექნება საქმე საკლუბო მწვრთნელებთან. ვეცდები, რომ ფეხბურთელი კლუბსა და ნაკრებს შორის გამოკიდებული არ იყოს, ხან ნაკრებმა უნდა დათმოს, ხან — კლუბმა. ისე კი, როცა ფეხბურთელს ეროვნულ გუნდში დაუძახებენ, ვფიქრობ, ის სიხარულითა და სიამაყის გრძნობით უნდა მოდიოდეს. მაქსიმალურად მჭიდრო ურთიერთობა მექნება ნაკრების თითოეულ კანდიდატთან, ისინი მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იყვნენ და მწვრთნელების ყურადღებას გრძნობდნენ.

— ჩემი დროის „ფრაიბურგი“ მო-კლე პასებზე აწყობილ ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობდა და მიმაჩნია, რომ ნამდვილი ფეხბურთიც სწორედ ესაა. ქართველებსა და ტუნისელებს ასეთი ფეხბურთი კარგად გამოსდიოდათ. თუმცა, ეფექტი არ უნდა დაიკარგოს და გუნდი შეტევაში არ გაერთოს. აუცილებელია, რომ მეტოქეს დაცვაშიც ხისტი თამაში დაუპირისპირო.

ფოლკერ ფინკემ ცოტაც ალექსანდრე იაშვილისა და ლევან კობიაშვილის კარგ ფეხბურთელობაზე ილაპარაკა და ეს სახელდახელო პრესკონფერენციაც ამით დასრულდა...

ეროვნული სტადიონიდან ფინკე და ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები საგურამოში ნაკრების სანახევროდ აშენებულ ბაზისკ-ენ გაემართნენ. იდეალურ გაზონზე გერმანელმა ფეხი შედგა თუ არა, ბრწყინვალეაო, თქვა და დასძინა, საქართველოში ჩემი პირველად [illegible] ფნის შემდეგ არ მეგონა, ასეთ პ[illegible] გრესს თუ დავინახავდიო. მერე ფი[illegible] ნკეს ბაზის შენობა სართულ-სართულ დაათვალიერებინეს და გე[illegible] მანელმაც ერთხელაც დაადასტუ[illegible] საქართველოს ნაკრებში მუშაო[illegible] სურვილი.

ვნახოთ, რა გამოვა ამ ს[illegible] ან იქნებ უკვე გამოსულიც კ[illegible] ფედერაციის ხელმძღვანელ[illegible] ფოლკერ ფინკე გუშინ გვ[illegible] დე საუბრობდნენ.

ისე, რიგში ავრაამ გრანტ[illegible] ზიკოც არიან...

**კობა ინასარიძე**



ეროვნული სტადიონის დირექტორი ირაკლი მეძმარიაშვილი, ფოლკერ ფინკე და ნოდარ ახალკაცი



# დავით ოდიკაძე: ცობელი იდეალური ვარიანტია



თბილისის „დინამო“ გუშინ გამთენიისას ჩამოფრინდა გერმანიიდან, სადაც შეკრება გაიარა და ტესტ-მატჩებში ცუდი შედეგები აჩვენა, თუმცა მთავარია, რისი მაქნისი იქნება გუნდი ოფიციალურ შეხვედრებში — სულ მალე რაინერ ცობელის შეგირდებს ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი ელის ფარერულ „რუნავიკთან“. დინამოელთა გერმანულ შეკრებაზე დავით ოდიკაძეს ვესაუბრეთ, რომელსაც გუშინ დავუკავშირდით...

## როცა სასტუმროს ოთახში ასვლაც ძნელია...

— მართალია, თამაშები ვერ მოვიგეთ, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან მათე ვაწაძე და გიორგი მერებაშვილი ტრავმების გამო გვაკლდნენ, გაბონელი ლეგიონერებიც ველარ შემოგვიერთდნენ, ილია სპასოევიჩიც ვერ იყო ჯანზე.

— ბევრი ახალბედა გყავდათ გერმანიაში და მათზე რას იტყვი?

— კარგის გარდა, ვერაფერს. საკმაოდ პერსპექტიულები არიან და „დინამოს“ მათი სახით კარგი მომავალი აქვს.

— რაინერ ცობელმა, ფაქტობრივად, გერმანულ შეკრებაზე გაიცნო გუნდი. როგორი მწვრთნელია, რას აქცევს ყურადღებას ყველაზე მეტად?

— ვფიქრობ, ვინც შეიძლებოდა მოეყვანათ მწვრთნელად, მათგან ცობელი იდეალური ვარიანტია. კარგი მწვრთნელია, ყველაფერს ყურადღებას აქცევს და დეტალებსაც კი არ ტოვებს.

— როგორც ვიცით, ცობელს ძალიან დამღლელი ვარჯიშები აქვს...

— საკმაოდ მკაცრია და მომთხოვნი, რის გარეშეც მწვრთნელის ფასი არაფერია. როცა დატვირთვები გვქონდა, სასტუმროს ოთახებში ძლივს ავდიოდით ხოლმე.

— თბილისში როდის დიაწყებთ ვარჯიშს?

— დღეს დაგვასვენეს, ხვალიდან კი ვიწყებთ.

— ტრავმირებულები, რომლებიც ახსენე, დაახლოებით როდის შემოგიერთდებიან?

— მერებაშვილმა ბოლო დღეს სრული დატვირთვით ივარჯიშა და ხვალიდან გუნდთან იქნება. ასევეა ვაწაძეც. აკირემი და ოვონოც აქ არიან.

— და ფარერულ „რუნავიკთან“ შანსებზე აღარც გეკითხები...

— ვეცდებით, პირველივე მატჩში გადავწყვიტოთ მომდევნო ეტაპზე გამსვლელის ბედი, მაგრამ დღეს ყველამ ისწავლა ფეხბურთი და სერიოზულად ვემზადებით. ისე არ არის, თითქოს წინასწარ მოგებული გვქონდეს „რუნავიკთან“.

— ბოლოს ნაკრებზეც: მაისში ესტონეთთან ითამაშე...

— ვერ მოვიგეთ, თუმცა უპირატესობა ჩვენი იყო. მინდორი იყო ისეთი, საქართველოს ჩემპიონატშიც რომ გაგიკვირდება. ერთს ვიტყვი: პეტარ სეგრტი ძალიან კარგი მწვრთნელია, იცის გუნდის შეკვრა და „დაქოქვა“, ტაქტიკურადაც ძლიერია. ახლა, როგორც ვიცი, შესაძლოა, ფოლკერ ფინკე დანიშნონ მწვრთნელად. ის ჩვენთან ერთად ჩამოვიდა გერმანიიდან და ვნახოთ, როგორ გადაწყდება მისი საკითხი.

**ილია ნანობაშვილი**



გუშინწინ რუსთავში „ოლიმპი“ აზერბაიჯანულ „სიმურგს“ ექსპერიმენტული შემადგენლობით გაეჯიბრა და 0:2 დაამარცხა. ამ მატჩს თვალყურს ადევნებდა აზერბაიჯანელი „სტანდარდის“ ქართველი მთავარი მწვრთნელი კახა ცხადაძეც და ჩვენც მაშინ გამოველაპარაკეთ...

# შესაძლოა, ქართველები კიდევ გადმოვიყვანოთ

— ფეხბურთელებს ორი დღით დასვენების საშუალება მივეცი და მეც საქართველოში ჩამოვედი.

— ახალი სეზონისთვის ერთი ქართველი ფეხბურთელი, მეკარე მიხეილ ალავიძე უკვე წაიყვანეთ და კიდევ ხომ არ გეგმავთ ვინმეს დამატებას?

— გუნდი საკმაოდ ბევრმა ფეხბურთელმა დატოვა და, ბუნებრივია, შევსებასაც მივიღებთ. არ გამოვრიცხავ, რომ ქართველებიც დავიმატოთ.

— თქვენმა შვილმა, ბაჩანამ, თბილისის „ვიტ ჯორჯია“ დატოვა. მან ჩვენთან საუბარში თქვა, არ გამოვრიცხავ, „სტანდარდში“ აღმოვჩნდეო...

— ბაჩანა ჩვენთან ვარჯიშობს და ვნახოთ, რა იქნება.

— გუნდის დაკომპლექტებას როდის დაასრულებთ?

— 20 ივლისს უკვე მეცოდინება რა და როგორ იქნება, რადგან ამ დღეს ბულგარეთში წავალთ შეკრებაზე.

— „სტანდარდთან“ რამდენხნიანი კონტრაქტი გაქვთ?

— ერთწლიანი და შემდეგ ვნახოთ...

— ახალ სეზონში კლუბის ხელმძღვანელობა რა მიზანს გისახავთ?

— ჩვენი მიზანი ხუთეულში მოხვედრაა.

— არ არის დიდი ხანი, რაც ევროპის ჩემპიონატი დასრულდა და საინტერესოა, ვის გულშემატკივრობდით...

— ამ ჩემპიონატს უფრო პროფესიული თვალით ვუყურებდი. საკმაოდ მაღალი დონის ჩემპიონატი იყო. სანახაობრივმა და შემტევმა ფეხბურთმა გაიმარჯვა — ესპანეთი ღირსეული ჩემპიონია.

**ნუკრი ლოლაძე**

# მუნდუნგა დარჩა, სხვები წავიდნენ
## ონიანი და სეთურიძე გადაწყვეტილიაო...



როდრიგ მუნდუნგა

**რუსთავის** „ოლიმპი“ გასინჯვაზე მყოფი უცხოელებიდან მხოლოდ გაბონელი როდრიგ მუნდუნგა რჩება საქართველოში, თუმცა რუსთავულ გუნდში მისი ჩარიცხვა ჯერ ბოლომდე არ გადაწყვეტილა. ფაქტია, „ოლიმპის“ მთავარ მწვრთნელ ხვიჩა ქასრაშვილს მუნდუნგას გარდა თავი ვერავინ მოაწონა. ასე რომ, ჰოლანდიელი ველსიუსი, უნგრელი სალკაი და ბრაზილიელები — მორაიში, მენდეში და იზბერნერი საქართველოდან აიბარგნენ.

როგორც გუშინდელ „სარბიელში“ მოგახსენეთ, „ოლიმპი“ დატოვა დავით გიგაურმაც, მის გზას დასდგომია კახა მახარაძეც. ეს კლუბის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ზურაბ ჯაფარიძემ გვითხრა.

აქტიური მოლაპარაკება მიდის გიორგი ონიანთან. მან გუშინწინ აზერბაიჯანულ „ოლიმპიკთან“ ითამაშა კიდეც და, ჯაფარიძის თქმით, ონიანი, სავარაუდოდ, „ოლიმპში“ ითამაშებს. რაც შეეხება გიორგი სეთურიძეს, იგი საქართველოში დღეს ჩამოვა და გუნდს შეუერთდება.

შეგახსენებთ, რომ ონიანიც და სეთურიძეც იენის „კარლ ცაისში“ ირიცხებოდნენ.

დღეს „ოლიმპს“ ტესტ-მატჩი ჰქონდა დაგეგმილი, თბილისის „დინამო 2“-თან, თუმცა ეს მატჩი არ შედგება.

15 ივლისს ქასრაშვილი შეგირდებს ცხინვალის „სპარტაკს“ გააჯიბრებს, 17-ში — ზაურ სვანაძის გაწვრთნილ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს, 18 ივლისს კი ურეკში წავლენ შეკრებაზე.

**ნუკრი ლოლაძე**

# რა დაინახა 18:1-ში პორტუგალიის თავკაცმა

**საქართველოს** ფუტსალის ნაკრებმა ევრო-აფრიკული ზონის საერთაშორისო ტურნირზე ბოლო, მეექვსე ადგილი რომ დაიკავა, გეცოდინებათ. რა თქმა უნდა, ეს ცუდი შედეგია, თუმცა ისიც სათქმელია, რომ ამ შეჯიბრში მსოფლიოს რეიტინგის პირველი ათეულის 5 ნაკრები მონაწილეობდა.

ქართველებმა პირველი მატჩი ჩაატარეს აფრიკის ჩემპიონ ლიბიასთან, რომელიც ბრაზილიაში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება.

პირველი ტაიმი უგოლოდ დასრულდა. ქართველებს უპირატესობა ჰქონდათ და რამდენჯერმე შეეძლოთ მეკარე ალ შარიფის კარის აღება. პირველ ტაიმში გაიბრწყინა ქართველთა მეკარემ ლევან გაბუჩიამ, რომელმაც 2 500 მაყურებლის ტაში რამდენჯერმე დაიმსახურა.

შესვენების შემდეგ მცველთა დაუდევრობით ლიბიელები დაწინაურდნენ, 28-ე წუთზე კი უნგრელმა არბიტრმა კარიდან გამოსულ ლევან გაბუჩიას სახიფათო თამაშისთვის წითელი ბარათი უჩვენა, რაც საბედისწერო აღმოჩნდა — მეკარის ადგილი მცველმა გიორგი იოსებიძემ დაიკავა. საბოლოოდ, 1:4.

გამანადგურებელი კი მეორე ტური გამოდგა — უმეკარეო საქართველომ 1:18 წააგო მასპინძელ პორტუგალიასთან და ის ფაქტი, რომ ჩვენი ნაკრები ერთადერთი აღმოჩნდა, ვინც ამ ტურნირზე გოლი გაუტანა პორტუგალიას, დიდი ვერაფერი ნუგეშია.

გოლი 21-ე წუთზე დავით დარჩიამ შეაგდო.

აი, რა დაწერა ამ შეხვედრის შემდეგ პორტუგალიურმა პრესამ...

*„რეკორდი“:* „საქართველომ მეკარის გარეშე ითამაშა და შედეგიც შესაბამისი მიიღო. თამაშის განმავლობაში ქართველებს ჰქონდათ გოლის გატანის საშუალება, მაგრამ მეკარე ბებემ გამოიჩინა თავი“.

*„ჟოგო“:* „ეს თამაში ყველაზე სანახაობრივი იყო“.

ბოლო მატჩში კი ქართველებმა, რომლებიც ჩვენთვის გაუგებარი მიზეზების გამო მხოლოდ ერთი მეკარით გაემგზავრნენ ტურნირზე, ხორვატებთან 1:5 წააგეს.

*პორტუგალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი და ფიფას ინსტრუქტორი ორლანდო დუარტე:* „კარგი ნაკრები გყავთ. პირველ რიგში ტაქტიკა გაკლიათ, მაგრამ ასეთ რამეებს ფინანსები და შესაბამისი პირობები სჭირდება. მე მზად ვარ, ჩამოვიდე საქართველოში, მაგრამ იცოდეთ, რომ ყველაფერს სჭირდება პროფესიონალური მიდგომა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენს განვითარებას პერსპექტივა არ აქვს“.

**ნიკო ოსეფაიშვილი**

# ტექნიკური მეთოფე

## ქართველთა დამჩაგვრელი არსენალში გადავიდა



**სამირ ნასრის** გაწელილი ტრანსფერი „მარსელიდან" „არსენალში" მოგვარდა. „მეთოფეებმა" 21 წლის ნახევარმცველში 12 მილიონი გირვანქა გადაიხადეს.

არსენ ვენგერი დარწმუნებულია, რომ საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელი მისი გუნდის თამაშს ხარისხს შემატებს:

„ის ახალგაზრდა, სწრაფი და ტექნიკურია — თქვა მწვრთნელმა — „მარსელშიც" და საფრანგეთის ნაკრებშიც გამოჩნდა მისი დიდი პოტენციალი ბოლო ორ წელიწადში".

სამირ ნასრიმ ევრო 2008-ზე ორი მატჩი ითამაშა და ივნისის ბოლოს თვითონვე გაამხილა, რომ „არსენალში" გადადიოდა.

ტრანსფერი შეფერხდა, გაჭიანურდა, მაგრამ კლუბები მაინც მორიგდნენ. ფრანგი ნახევარმცველი თანაგუნდელებს 21 ივლისს შეუერთდება.

„ძალიან მიხარია, რომ ამ გუნდის ფეხბურთელი გავხდი — განაცხადა ნასრიმ — ეს ჩემთვის ბევრს ნიშნავს, რადგან წინგადადგმული ნაბიჯია კარიერაში. „არსენალი" ხომ ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესი კლუბია. თავს არ დავზოგავ გუნდისთვის და ფანებისთვის და შევეცდები, რომ საუკეთესო ფეხბურთი ვაჩვენო".

სამირ ნასრის შეძენა, „ბარსელონაში" ალექსანდრ გლების გადასვლას დააჩქარებს. შეგახსენებთ, რომ ფრანგ ნახევარმცველამდე „არსენალმა" ახალგაზრდა უელსელი აარონ რამსი გადაიბირა. ხოლო ნასრიმ, თავისი პირველი სანაკრებო გოლი, შეგახსენებთ, საქართველოს ნაკრებს გაუტანა.

**ვაჟა ხუციშვილი**




# ბუნტი ბარსელონაში

**კატალონიურ** „ბარსელონაში" არეულობა გრძელდება. კვირას გამართულ ყრილობას უკვალოდ არ ჩაუვლია. ამჟამინდელმა პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ პოსტი კი შეინარჩუნა, მაგრამ შესაძლოა, მაინც მოუწიოს გადადგომა, რადგან ახლა გადამწყვეტი სიტყვა გენერალურ ასამბლეაზეა.

მართალია, ოპოზიციური ძალების ლიდერმა ორიალ ჟირალტმა თქვა, შედეგებს ვცნობთ, ისედაც ფაქტია, რომ ამჟამინდელი ხელმძღვანელობის მუშაობით უმეტესობა უკმაყოფილოა, მაგრამ რადიკალური ნაბიჯების გადადგმას ჯერჯერობით არ ვაპირებთო, თუმცა დირექტორთა საბჭოს 17 წევრიდან 8 გადადგა და ლაპორტა, მისი გუნდითურთ, არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში ჩავარდა.

შეგახსენებთ, რომ „ბარსელონას" 39 389 წევრიდან დიდმა ნაწილმა თავი შეიკავა, ხოლო მათგან ვინც თავისი არჩევანი რომელიმე მხარის სასარგებლოდ დააფიქსირა, ლაპორტამ მხოლოდ ხმების 37,75 პროცენტი, ოპოზიციამ კი 60,6 პროცენტი მიიღო. თუმცა ლაპორტასთვის უნდობლობის გამოცხადებისა და ვადამდელი არჩევნების დანიშვნისთვის ოპოზიციონერებს ზუსტად 6 პროცენტი დააკლდათ.

„ძალიან უკმაყოფილონი ვართ კლუბის ამჟამინდელი მდგომარეობითა და ხელმძღვანელობით. ცხადია, ჩვენ მოსაზრებებს არ იზიარებს არც ლაპორტა და არც ის ხალხი, ვინც მის გვერდით დარჩა. ფაქტია ისიც, რომ „ბარსელონას" წევრების უმეტესობა ლაპორტას აღარ ენდობა და ცვლილებებს ითხოვს. თუმცა ვცნობთ ყრილობის შედეგებს და ჩვენ დემოკრატიულ გუნდს დიდ წარმატებას ვუსურვებთ. იმედია, ყველაფერი გამოსწორდება" — თქვა გადამდგარმა პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ალბერ ვისენსმა.

მის გარდა, გადადგნენ ვიცე-პრეზიდენტები მარკ ინგლა და ფერან სერიანოც. ასევე ანტონიო როვირა, კლაუდიო ვივეს-ფიერო, ევარისტ მურტრა, ხავიერ კამბარა და ხოსეპ ლუის ვილასეკა.

უახლოეს მომავალში ლაპორტამ მათი შემცვლელები უნდა აირჩიოს და იგი სწორედ ამას აპირებს. მას პოსტზე დარჩენის იმედი აქვს, მინდა ჩემი საქმის კეთება, როგორც წესით მეკუთვნის, 2010 წლამდე გავაგრძელოო.

„კლუბში არასახარბიელო მდგომარეობაა და სწორედ ახლაა საჭირო ერთად დგომა და თავდაუზოგავი შრომა, რათა ვითარება გამოსწორდეს. სტაბილურობა უნდა შევინარჩუნოთ და მუშაობა გავაგრძელოთ, ეს აუცილებელია, თორემ მომავალი სეზონი მალე დაიწყება. თუმცა იმას კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ გასულ კვირას უმეტესობამ ჩემს საწინააღმდეგოდ მისცა ხმა და ამას კარგად ვიაზრებ. ამიტომ, მე და დირექტორატმა გადავწყვიტეთ, ჩემი ბედი გენერალურ ასამბლეას მივანდოთ, რომელსაც ბოლო სიტყვა ეკუთვნის" — თქვა ლაპორტამ.

მოგეხსენებათ, „ბარსელონამ" ბოლო ორი სეზონი ძალიან არადამაჯერებლად ჩაატარა და მიუხედავად ვარსკვლავური შემადგენლობისა და დიდი ფინანსური დანახარჯისა, ვერაფერი მოიგო.

**გიორგი ძაძაბაძე**

# ლიპის მაურინიუ და ტონის ესპანეთი



**იტალიის** ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე დაბრუნებული მარჩელო ლიპის აზრით, მომავალ სეზონში სკუდეტოს ისევ „ინტერი" მოიგებს, რადგან „ნერაძურის" თავკაცად მისული ჟოზე მაურინიუ საოცარი სპეციალისტია.

„მჯერა, სკუდეტოს ისევ „ინტერი" მოიგებს, რადგან მილანელთა პრეზიდენტის მასიმო მორატის მიერ კლუბში მოყვანილი ახალი მწვრთნელი ძალიან მომწონს. მაურინიუ გულჩათხრობილი პიროვნებაა, მაგრამ მასზე ყველა ფეხბურთელი კარგად ლაპარაკობს და ეს მრავლისმეტყველია. ესე იგი, პორტუგალიელი თავის საქმეს მშვენივრად აკეთებს, რაც ჩანს კიდეც" — განაცხადა ლიპიმ.

ცხადია, 60 წლის სპეციალისტმა ნაკრებზეც ილაპარაკა. ჭაღარა, სიგარის მოყვარულ ტაქტიკოსს ნაკრების გაახალგაზრდავება სურს და შემადგენლობის შეცვლას აპირებს, მაგრამ არა ძირფესვიანად.

„გუნდის გადაწყობა და კვლავ გამარჯვებული, შეკრული კოლექტივის ჩამოყალიბება მინდა. ბევრი მათგანი, ვინც ევრო 2008-ზე ითამაშა, დარჩება. ჭკვიანი ფეხბურთელები უნდა ამოვირჩიო, რომლებსაც კარგად აქვთ გააზრებული, თუ რა მნიშვნელოვანია ერთმანეთის დახმარება და გუნდური თამაში. სწორედ ასეთი თვისებების მქონე მოთამაშეების წყალობით მოვიგეთ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი. კონკრეტული გვარების დასახელებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ ძალიან ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ჩინებული ახალგაზრდები გვყავს და ეს მახარებს, ისინი ნაკრების მომავალს წარმოადგენენ" — დასძინა ლიპიმ.

ლიპისი სჯერა და ოპტიმისტური განწყობა აქვს მიუნხენის „ბაიერნის" თავდამსხმელ ლუკა ტონისაც, ვისაც ევრო 2008 აშკარად ჩაუვარდა:

„როგორც ყოველთვის, დიდი ზეწოლაა, მაგრამ ლიპი სწორი არჩევანი იყო, და ის საქმეს წინ წაწევს. რატომ ვითამაშეთ ცუდად ევრო 2008-ზე? მართლაც ცუდად დავიწყეთ და შევხვდით ჰოლანდიის ნაკრებს, რომელიც საოცარ ფორმაში გახლდათ. მერე ვითარება გამოვასწორეთ, მაგრამ მეოთხედფინალში ევროპის მომავალ და დამსახურებულ ჩემპიონ ესპანეთთან პენალტების სერიაში დავმარცხდით. ცოტა არ გაგვიმართლა კიდეც" — თქვა ტონიმ.

**გიორგი ძაძაბაძე**

# ინსმა ფაულერს უხმო

**ვეტერანი** რობი ფაულერი პრემიერლიგაში ბრუნდება. 33 წლის ფორვარდი თავის აწ უკვე ყოფილ კლუბ „კარდიფთან" ერთწლიანი კონტრაქტის დადებას აპირებდა, როდესაც უეცრად წინადადება მიიღო „ბლექბერნ როვერსისგან". როგორც ჩანს, რობის გადაწყვეტილებაზე გავლენა „როვერსის" მწვრთნელმა პოლ ინსმა მოახდინა, რომელიც ფაულესთან ერთად ჯერ კიდევ „ენფილდზე" თამაშობდა და მათ ძველი მეგობრობა აკავშირებთ.

ფაულერი „კარდიფში" შარშან „ლივერპულიდან" გადავიდა და 16 თამაშში გოლით ექვსჯერ გამოიჩინა თავი, თუმცა შემდგომ მან თეძოს ტრავმა მიიღო და დეკემბრის შემდეგ უთამაშებელია.

როგორც „კარდიფ სიტის" მმართველმა პიტერ რიდსდეილმა განაცხადა, ფაულერის წასვლა ხელ-ფეხს გაუხსნის სხვა თავდამსხმელებს „ნინიან პარკზე" გადასვლაში.

ფაულერმა თავისი კარიერის საუკეთესო წლები (1993-2001) „ლივერპულში" გაატარა. მან მერსისაიდელთა მაისურით 330 თამაში ჩაატარა და 171 გოლი გაიტანა.

# პეპე რეინას მეტოქე უყიდეს

**რაფა ბენიტესი** „ლივერპულის" ინტერნაციონალურ კლუბად ჩამოყალიბებას აგრძელებს. ამჯერად საქმე ბრაზილიური „პალმეირასის" გოლკიპერ დიეგო კავალიერის ეხება. ამ ზაფხულს ის „წითლების" მესამე შენაძენია. 25 წლის კავალიერიმ პრემიერლიგის კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

„ვიცი, რომ ძირითადში მოხვედრა ადვილი საქმე არ არის — თქვა მან — მე ვუყურე წინა სეზონში პრემიერლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში „ლივერპულის" რამდენიმე თამაშს და ვიცი, რომ პეპე რეინა შესანიშნავი მეკარეა. მიუხედავად ამისა, ყველამ უნდა იბრძოლოს თავისი ადგილის დასამკვიდრებლად — დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ შორის ჯანსაღი მეტოქეობა იქნება".

„ლივერპულში" ახალ გარემოსთან შეწყობაში კავალიერის მისი თანამემამულეები ლუკას ლეიკა და ფაბიო აურელიო დაეხმარებიან, რომლებიც გულთბილად შეხვდნენ დიეგოს და ყველაფერში დახმარება აღუთქვეს.

**არჩილ ძოგანიძე**



სერხიო რამოსი



კრიშტიანუ და ნერეიდა

# ფრთხილად, იქ სერხიო რამოსია!

**ᲝᲝᲝ...** ინგლისურმა ტაბლოიდებმა გამოიკვლიეს, რომ ესპანეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ მცველი, სერხიო რამოსი, რომელმაც ამ ზაფხულს ევრო 2008-ზე გაიმარჯვა და კონტინენტის თასს მფლობელის რანგში შეეხო, თავის დროზე კრიშტიანუ რონალდუს სატრფოს, ნერეიდა გალიარდოსაც ამავე რანგში ეხებოდა: ჰოდაო, წერენ ინგლისელები, იქნებ პორტუგალიელი ვარსკვლავისთვის კარგად დაფიქრებას და მადრიდში გადასახლებაზე ხელის აღებას აზრი ჰქონდეს, თორემ ისე გამოდის, რომ ქალი სახიფათო ადგილას თავისი ხელით მიჰყავსო.

„აბა, კრიშტიანუს საიდან უნდა სცოდნოდა, რომ ნერეიდას სხვადასხვა დროს, „რეალის“ ვარსკვლავთა უმეტეს ნაწილთან რომანი ჰქონია — გათქვა სინიორიტა გალიარდო ორიოდ გროშის საფასურად ერთმა დაქალმა — რონალდუ ეჭვიანი ბიჭია და ამ ამბავს უმალავდნენ. სერხიო კიდევ (რამოსზეა ლაპარაკი), ცოტა ხუმარა ბიჭია და ნერეიდას მისი ნახვის ეშინია. ვაითუ, კრიშტიანუს უთხრას, ამ ქალს რას მაცნობ, რომ მაცნობ, იქით არ გაგაცნოო“.

კეთილი დაქალის შემწეობით, ყვითელმა პრესამ შეიტყო, რომ 22 წლის სერხიო ნერეიდას გასული წლის ნოემბერში მადრიდის ღამის კლუბ „ჯოი ესლავაში“ გადაყრია.

„სერხიო იქ ორ მეგობართან ერთად იყო, საღამო კი იმით დასრულდა, რომ ეს ორი ადამიანი და ნერეიდას მთელი ამალა მის სახლში გადაბარგდა. იქ, მთელი წვეულების განმავლობაში ნერეიდას სერხიო აქცევდა ყურადღებას, ბოლოს კი ისინი განმარტოვდნენ — დააზუსტა კეთილმა.

# ჯეიმსი: ჯარიმის დიდოსტატი

**ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ** ჩემპიონატი დასრულდა, ახალი საფეხბურთო სეზონი ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ ინგლისის ეროვნული ნაკრების მეკარე დევიდ ჯეიმსი ერთადერთია მსოფლიოში, ვინაც ტიტული უკვე მოიპოვა...

როგორო, იკითხავთ, ალბათ. საქმე კი, აი რაშია: ჯეიმსი დასასვენებლად ამერიკაში, კერძოდ კი, ტეხასის შტატის ქალაქ ჰიუსტონში გახლდათ, როცა კოლეგებს, იტალიელ ფრანჩესკო ტოლდოს და ამერიკელ კეისი კელერს გადაეყარა. სალამქალმის შემდეგ, მეკარეებს თავში ასეთი იდეა მოუვიდათ, მოდი, ერთმანეთს საჯარიმოების შესრულებაში შევეჯიბროთ, ვინც მეტს გაიტანს, ტიტულიც FREE KICK MASTERS (საჯარიმოს უბადლო შემსრულებელი) მისი იყოსო.



იდეას კელერმა შეასხა ხორცი, ჰიუსტონის „რელანტ სტედიუმის“ დირექტორს დაურეკა, ორგანიზებაში დამეხმარეო. ჰოდა, მე თქვენ გეტყვით, ამერიკელებს ასეთი სახალისო ამბავი არ მიიზიდავდა...

მოკლედ, სტადიონზე 25 000 მოსეირე შეიყარა და დიდათაც ისიამოვნა ჯეიმს-ტოლდო-კელერის და პლუს კიდევ ორი უცნობი მეკარის შეჯიბრით.

თავიდანვე ორი ფავორიტი გამოიკვეთა — ჯეიმსი და ტოლდო (თავისთავად, ესენი ხომ უმაღლესი დონის მეკარეები არიან), რომლებმაც ფაქტობრივად, ფინალად აქციეს შოუ, საბოლოოდ კი, ინგლისელმა იტალიელი 22:16 დაამარცხა.

და მთავარი: დევიდ ჯეიმსმა, ზემოხსენებული FREE KICK MASTERS-ის წოდების გარდა, საჩუქრად ფულადი ჯილდოც მიიღო — 500 000 დოლარით შეისქელა ჯიბე.

ასე რომ, ითამაშეთ ფეხბურთი და იხალისეთ. ადამიანის შესაძლებლობებს ხომ ზღვარი არ აქვს...

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲣᲨᲐᲙᲘᲫᲔ**

# ბექემის მოგონებანი



**ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚᲛᲐ** ნახევარმცველმა დევიდ ბექემმა განაცხადა, რომ წინა ზაფხულს „მილანში“ გადასვლასთან ძალიან ახლოს იყო, მაგრამ ბოლო მომენტში მაინც ამერიკაში წასვლა არჩია და „ლოს ანჯელეს გალაქსიში“ ჩაირიცხა.

„ძალიან ახლოს ვიყავი „მილანში“ გადასვლასთან. ბევრი ვიფიქრე და ბოლოს მაინც ამერიკაში წასვლა ვარჩიე. „როსონერი“ უმაღლესი კლასის გუნდია, რომელიც ბოლო წლებში ბრწყინვალე ფეხბურთს თამაშობს. ეს კლუბი სერია A-ში ყველაზე მეტად მომწონს. სწორედ ასეთი კლუბი მინდოდა, „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „რეალის“ მერე, მაგრამ „ლოს ანჯელესის“ ვარიანტიც ძალიან მიმზიდველი გახლდათ. ასეა თუ ისე, იტალია ზოგადად ძალიან მიყვარს და მომწონს, ხშირად ჩამოვდივარ დასასვენებლად“ — უთხრა ბექემმა „გაძეტა დელო სპორტს“.

მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა ფეხბურთელმა თავისი აზრი ინგლისის ნაკრების ახალ მწვრთნელზე, იტალიელ ფაბიო კაპელოზეც გამოთქვა:

„ის არის მწვრთნელი, რომელსაც შეუძლია ჩვენს ნაკრებს წარმატება მოაპოვებინოს. კაპელო ჭკვიანი კაცია და იცის, რა სჭირდება გასამარჯვებლად. თუ კარგად არ ითამაშებ და ბოლომდე არ დაიხარჯები, შემადგენლობაში ვერ მოხვდები.“

„მანჩესტერის“ ექსლეგენდამ კრიშტიანუ რონალდუზეც ისაუბრა, რომელიც „წითელი ეშმაკებიდან“ „რეალში“ გადასვლასთან ძალიან ახლოსაა. შეგახსენებთ, რომ სწორედ ასე მოიქცა თავის დროზე ბექემი.

„ჩემი ოცნება იყო „მანჩესტერში“ თამაში, ისევე როგორც „რეალში“. ძალიან რთული გადასაწყვეტი იყო „წითელი ეშმაკების“ დატოვება და დარწმუნებული ვარ, ასეა კრიშტიანუსთვისაც. მას თავისი ცხოვრების არჩევნის გაკეთება მოუწევს. როცა „წითელი ეშმაკებიდან“ წამოვედი, ერთადერთი კლუბი, რომელშიც გადასვლა მინდოდა, სწორედ „რეალი“ გახლდათ. მადრიდში ცხოვრება და სამეფო გუნდის ღირსების დაცვა საოცარი რამაა, ამაზე კარგი კარიერაში ცოტა რამ თუ შეგხვდება. იგივეს ვიტყოდი „მანჩესტერზეც“. მრავლისმეტყველია, რომ რონალდუს ამ ორ გრანდს შორის უწევს არჩევანის გაკეთება“ — დასძინა ბექემმა.

**ᲥᲝᲥᲘ ᲥᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ**

# მანჩესტერმა მოსკოვში ვალები დატოვა

**ᲠᲝᲒᲝᲠᲪ** ირკვევა, ჩემპიონთა ლიგის მომგებმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მოსკოვში ვალები დატოვა. შეგახსენებთ, რომ „წითელი ეშმაკები“ რუსეთის დედაქალაქში ასევე ინგლისურ „ჩელსის“ გაეჯიბრნენ და პენალტების სერიაში მოუგეს.

ფული კი მანჩესტერელებს „მოსგორტრანსისთვის“ ჰქონიათ გადასახდელი. ეს კომპანია „წითელი ეშმაკებისა“ და „ჩელსის“ ფანების გადაადგილებას უზრუნველყოფდა.

„ჩვენ სამ მარშრუტს ვემსახურებოდით. „ჩელსისა“ და „მანჩესტერის“ გულშემატკივრები ვნუკოვოს, შერემეტიევოსა და დომოდედოვოს აეროპორტებიდან გადაგვყავდა. სამწუხაროდ, მანჩესტერელებს ჯერ ბოლომდე არ გადაუხდიათ მომსახურების თანხა. ვალი დაახლოებით 148 ათას ევროს შეადგენს“ — თქვა „მოსგორტრანსის“ გენერალურმა დირექტორმა პიოტრ ივანოვმა.

**ᲥᲝᲥᲘ ᲥᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ**

## 90 პროცენტით სანდერლენდელი

**ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘᲡ** „სტიაუას“ მცველი დორინ გოიანი, სავარაუდოდ, „სანდერლენდის“ საკუთრება გახდება.

„გოიანის ინგლისში ტრანსფერი 90 პროცენტით გადაწყვეტილია. კონტრაქტით გათვალისწინებული თანხის ოდენობა 4,8 მილიონ ევროს შეადგენს, მოთამაშე კი წელიწადში 700 ათასიდან 1 მილიონამდე ევროს მიიღებს“ — განაცხადა „სტიაუას“ მფლობელმა ჯიჯი ბეკალიმ.

ბეკალის თქმით, გოიანის ყიდვა კიევის „დინამოსაც“ სურდა, მაგრამ უკრაინელებმა მხოლოდ 3,5 მილიონი ევრო შესთავაზეს რუმინელებს და ისიც, თანხის ნაწილ-ნაწილ გადახდის პირობით.

## რეალს გარსია აღარ სჭირდება

**ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘᲡ** „რეალი“ აღარ აგრძელებს კონტრაქტს ურუგვაელ ნახევარმცველ პაბლო გარსიასთან. ფეხბურთელი მადრიდულ კლუბში „ოსასუნადან“ 2005 წელს გადავიდა და მხოლოდ ერთი სეზონი გაატარა „სამეფო კლუბში“. მომდევნო ორი წელი „სელტასა“ და „მურსიაში“ იყო განათხოვრებული. წინა სეზონში კი 21 მატჩში ექვსჯერ დასტყუა მსაჯს ყვითელი ბარათი.

## ტიაგუ მანჩესტერსაც მოუნდა

**„ᲛᲐᲜᲩᲔᲡᲢᲔᲠ ᲘᲣᲜᲐᲘᲢᲔᲓᲘ“** იტალიურ გრანდებს, „მილანსა“ და „რომას“ შეუერთდა ბრაზილიური „ფლუმინენსეს“ ნიჭიერი ნახევარმცველ ტიაგუ ნევეშისთვის ბრძოლაში.

23 წლის ფეხბურთელი უფრო შემტევი ნახევარმცველია, მაგრამ ფლანგებზეც შეუძლია თამაში.

ტიაგუ ბრაზილიის ოლიმპიურ ნაკრებშია გამოძახებული, ამას წინათ კი კოპა ლიბერტადორესის ფინალში სამი გოლი შეუგდო ეკვადორულ „კიტოს“. მისი აგენტი უკვე ელაპარაკა „რომას“, ახლა კი მანჩესტერელებიც დაუკავშირდნენ. ბრაზილიური კლუბი ტიაგუ ნევეშს 10 მილიონ გირვანქად აფასებს.

## ბარი მწყობრიდან გამოვიდა

**„ᲠᲔᲘᲜᲯᲔᲠᲡᲘᲡ“** კაპიტანი ბარი ფერგიუსონი, სულ მცირე, სამი თვე ვერ გავა მინდორზე.

„ფერგიუსონმა წვივის სერიოზული ტრავმა მიიღო და ვშიშობთ, რომ იგი სამი თვით გამოვიდა მწყობრიდან. ბარი ჯერჯერობით „მიურეი პარკის“ ბაზაზე დარჩება და იქ იმკურნალებს“ — იტყობინება შოტლანდიური კლუბი. ასე რომ, „რეინჯერსს“ ფერგიუსონის გარეშე მოუწევს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის გადალახვა.

**ᲐᲠᲩᲘᲚ ᲫᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ**

# ეს კაცი იდიოტი ყოფილა!

კრიშტიანუ რონალდუსაც მეტი რა უნდოდა, ფიფას პრეზიდენტის, ზეპ ბლატერის გუშინწინდელ გამონათქვამს სიამოვნებით აჰყვა და კმაყოფილებით განაცხადა: დიახ, მე მონა ვარ!

„ასი პროცენტით ვიზიარებ ბლატერის მოსაზრებას“ — განცხადა „მონამ“, რომელსაც კვირაში 120 ათას გირვანქას უხდიან, ცხოვრობს 4 მილიონ გირვანქად ღირებულ ვილაზე და სადაცაა „ნაიკთან“ 23 მილიონ გირვანქიან სპონსორულ კონტრაქტს მოაწერს ხელს.

მაგრამ, განა ის, რაც ბლატერმა თქვა შემოსავლებთან იყო რაიმე კავშირში? ანდა, რას ნიშნავს სიტყვა „მონა“, ღარიბს, თავისუფლებააყრილს თუ ორივეს ერთად?


კრიშტიანუ რონალდო

**შეგახსენებთ**, რომ ფიფას პრეზიდენტმა ფეხბურთელის კლუბიდან არგაშვების წინააღმდეგ გაილაშქრა და თქვა, რომ „თანამედროვე მონობის“ ასეთ ფორმას დღევანდელ საფეხბურთო მსოფლიოში აქა-იქ ვაწყდებით, რაც ძალიან არასასურველია. მან ეჭვქვეშ დააყენა ის არგუმენტი, რომ რაკილა ფეხბურთელს ამა თუ იმ კლუბთან კონტრაქტი აქვს გაფორმებული (თან ნებაყოფლობით), მას აღარ აქვს უფლება რაიმე მიზეზით სხვაგან მოუნდეს გადასვლა. ნუთუ არ შეიძლება, ეს მოთამაშე იმ კლუბს ვერ შეეწყოს, ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა გაუფუჭდეს, იქაურ კლიმატს ვერ შეეგუოს ან რაიმე სხვა მოხდეს? ერთი სიტყვით, პრობლემა, რომელიც ბლატერმა წამოჭრა, ფართოა და 23 წლის პორტუგალიელი ვარსკვლავისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ჩარჩოებს სცილდება, მაგრამ ფიფას პრეზიდენტის ნათქვამი დიდ რეზონანსს რომ გამოიწვევდა, გასაკვირი არ იყო.

ბლატერს, უპირველეს ყოვლისა, ინგლისური კლუბების მთავარგამგებელნი აღუშფოთდნენ და ესეც ბუნებრივი რეაქცია გახლდათ. ჯერ ერთი, ისინი თავიანთი საუკეთესო მოთამაშეების სხვაგან გაქცევის პრეცედენტს ებრძვიან და მეორეც, ალბათ, ეროვნული სოლიდარობის მომენტიც მოქმედებს: ინგლისურ კლუბს სხვებმა საქმეები როგორ უნდა აურიონ?! — მოგეხსენებათ, ინგლისელები პატივმოყვარე ხალხია.

„მონებს უფრო ახრჩობდნენ, წყალში ყრიდნენ, ტანჯავდნენ, ვიდრე მილიონებს უხდიდნენ“ — თქვა ამ ქვეყნის ყოფილმა ვარსკვლავმა ლუთერ ბლისეტმა, რომელსაც მივუბრუნდებით.

„ბირმინგემ სიტის“ აღმასრულებელი შეფი კარენ ბრეიდი:

„მონები? ეს არასწორი სიტყვაა. მე მათ დაქირავებულ მუშახელს დავარქმევდი. ჩვენ ხომ იმ ხალხზე ვლაპარაკობთ, რომელთაც ექვსციფრიანი შემოსავლები აქვთ. მათ კონტრაქტების იგნორირების ნება რომ დაერთოთ, ფეხბურთში სრული ანარქია დაისადგურებდა. ის, რაც ბლატერმა თქვა, დაუჯერებელია. ფიფა მუდმივად ისეთი წესების მოგონებას ცდილობს, კლუბებმა სარფი რომ დაკარგონ. როდესაც ფეხბურთელი კონტრაქტს აფორმებს, უნდა ესმოდეს, რომ ის ფარატინა ქაღალდი არ არის, რომელსაც უკეთესი შემოთავაზებისთანავე დახევს“.

„უიგანის“ თავმჯდომარემ, დეივ ვილანმა უბრალო კომენტარი არ იკმარა და ბლატერის ფიფას პრეზიდენტობიდან გადადგომა მოითხოვა. თან, ილანძღებოდა:

„ეს კაცი სრული იდიოტი ყოფილა. აუცილებლად უნდა დავაყენოთ ბლატერის შემოწმების საკითხი, შეუძლია კი მას იმ თანამდებობაზე მუშაობა, რომელიც უკავია? თუმცა, აშკარაა, რომ არ შეუძლია. როგორ შეიძლება ისეთი შტერობის თქმა, რომ ფეხბურთელები თანამედროვე მონები არიან“.

„ბირმინგემის“ თავმჯდომარე დეივიდ გოლდი:

„მგონი, როდესაც ადამიანი ამდენი წლის განმავლობაში ძალაუფლებას ფლობს, ენის დაუფიქრებელ ტარტალსაც იწყებს. რაც მან თქვა, ქედმაღლური სისულელე და სრული ნაგავია. ბლატერს მონები დაბალშემოსავლიანი ქვედალიგელებისთვის რომ ეწოდებინა, კიდევ გაიგებდა კაცი, საითაც მიჰყავდა საუბარი, მაგრამ ამის თქმა რონალდუზე, რომელსაც კვირაში 120 ათას გირვანქას უხდიან, მედლის მხოლოდ ერთ მხარეზე ყურებაა“.

უწინ „პორტსმუთის“, ახლა კი „ლესტერის“ მეპატრონე მილან მანდარიჩი:

„ბლატერს წლების განმავლობაში ბევრი საშინელი რამ უთქვამს, რაც ახლა განაცხადა, ყველაზე კოშმარულია იმ განცხადებებს შორის მე რომ ოდესმე მომისმენია. შეიძლება, დღევანდელ ფეხბურთელებს თანამედროვე მონები უწოდო? განა შეიძლება გებრალებოდნენ ეს ადამიანები, რომლებიც უზარმაზარ გასამრჯელოს იღებენ იმაში, რისი კეთებაც უყვართ?“

„უოტფორდის“, „მილანისა“ და ინგლისის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი ლუთერ ბლისეტი:

„ნუთუ ბლატერი ვერ ხვდება, რა აგრესია შემოაქვს ისეთი სიტყვის წამოსროლით, როგორიცაა „მონობა“? განა შეიძლება ეს სიტყვა მილიონერებს მიუსადაგო? მას ამ სიტყვის ძალა, ეტყობა, კარგად არ ესმის. ის ხომ ამით შეურაცხყოფას აყენებს ხალხს, რომელიც წლობით მართლა მონურ მდგომარეობაში იყო? ნუთუ, სანამ პირს დააღებდეს, ბლატერი ცოტას მაინც არ ფიქრობს? სიტყვა მონობის წამოროშვით მან ხომ შეურაცხყოფა მიაყენა უამრავ შავკანიან ფეხბურთელს, რომელთაც დაინახეს, რომ ფიფას პრეზიდენტი სხვა პლანეტაზე ცხოვრობს. დღევანდელი ფეხბურთელების მონებთან შედარება არაფრით შეიძლებოდა“.

მწვრთნელთა ლიგის ასოციაციის აღმასრულებელი შეფი ჯონ ბარნუელი:

„ბატონი ბლატერის გამონათქვამი გვაჩვენებს, რომ ეს ადამიანი პროფესიული ფეხბურთისგან ძალიან შორის არის. სატრანსფერო სისტემის წეს-კანონები ხომ თავად მისმა ორგანიზაციამ შეიმუშავა. როდესაც საუბრობ ადამიანზე, რომელიც კვირაში 120 ათას გირვანქას იღებს, სიტყვა მონა არ უნდა წამოგცდეს“.

კიდევ შეგვეძლო სხვა ინგლისელი საფეხბურთო მოღვაწეების გამონათქვამთა თარგმნა, მაგრამ ვფიქრობთ, ერთისა და იმავეს გამეორება გამოვა, კრიშტიანუ რონალდუსთან დაკავშირებული კონფლიქტის არსი კი ყველასთვის კარგად არის ცნობილი, მაგრამ მაინც გავიმეორებთ: პორტუგალიელმა ვარსკვლავმა გასულ გაზაფხულზე „მანჩესტერ იუნაიტედთან“ განახლებულ, მდიდრულ კონტრაქტს მოაწერა ხელი, ზაფხულის პირას კი კბილითა და ფრჩხილით დაიწყო ინგლისის ჩემპიონისგან თავის დასახნელად ბრძოლა. რონალდუს მადრიდის „რეალში“ სურს გადასვლა.

დაბოლოს, თემა მართლაც ძალიან ფართო და საინტერესოა. გარდა მონობის საკითხისა, საკუთრივ რონალდუსა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ურთიერთობაც მრავალ კითხვის ნიშანს სვამს. ბოლოს და ბოლოს, იურიდიული მხარე ცალკე იყოს და არის მორალური ასპექტიც, თუმცა ამ მხრივაც აზრთა სხვადასხვაობაა. რასაკვირველია, ერთი ნიჭიერი ჭაბუკისგან მსოფლიო დონის ვარსკვლავი „მანჩესტერ იუნაიტიდმა“ და მისმა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა გამოთალა, მაგრამ ეს ბიჭი რომ ამბობს, ხუთი წლის მანძილზე „მანჩესტერს“ გულითა და უნარით ვემსახურე და არაერთი ჯილდოს მოგებაში დიდი წვლილი შევიტანე, ასე რომ, ვალში არა ვარო, ტყუის?

დაგვეთანხმებით, მართლაც რომ თემაა!

**ბაპუნა ძიძია**




ზეპ ბლატერი და „მონები“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოცხალი სპორტი

# 1X2 ამფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

კოდი | წყვილი | შედეგი | კოეფ-ტი | სისტ

—ფინკეს მაზი წავაგე.

—რაა?

-მასტს ხელზე გავუმაზე, რო ფოლკერ ფინკეზე ადრე ავრაამ გრანტი ჩამოვიდოდა და გრანტმა გატეხა. უეჭველი ვიღაცამ ჩამიშვა.

—რა პონტში?

—ნუ, დროულად ითანამშრომლე ავრაამ გრანტათან და რამე...

—რატო მაზავ ეგეთებს ტო! აგე რონალდუს გადასვლა აიღე „რეალში"

—მაგას მივაბი გრანტის ჩამოსვლა და ბილეთი უკვე დასახევია. მეთქი, რონალდუ და გრანტი წყვილად. ბარკალივით კუში ეწერა.

—სადა პოულობ ეგეთ როჟებს, ტო! რეებს მაზავ!

**ბერძნულ-რომაული** სტილით მოჭიდავეთა ნაკრები თბილისში დაბრუნების შემდეგ ვარჯიშს ფალავანთა კლუბში აგრძელებს. ნაკრების თავკაც ბეგი დარჩიას განკარგულებაში ყველა ის ფალავანია, ვინც ბორჯომული შეკრება მოიარა. ბიჭები ტრავმებს არ უჩივიან და სრული დატვირთვით ვარჯიშობენ. ხვალ გამთენიისას კი ნაკრები ბელარუსში გაემგზავრება ორკვირიან შეკრებაზე, სადაც 14 მოჭიდავეს ორი მწვრთნელიც გაჰყვება.

*ბეგი დარჩიამ* ნაკრებში შექმნილ ვითარებაზე ასეთი კომენტარი გააკეთა: „ბორჯომის შეკრება ნაყოფიერი გამოდგა, კმაყოფილი ვარ. ბელარუსში კარგ პირობებში მოვემზადებით. ჩვენთვის ცალკე სპორტული ბაზა იქნება გამოყოფილი და იზოლირებულ გარემოში მხოლოდ მოჭიდავეები ვიქნებით.

ჩვენს გარდა მინსკში ჩამოვლენ სომხეთის, საფრანგეთისა და საბერძნეთის ნაკრები. ბელარუსები კი 4 ნაკრებს გამოიყვანენ. ინტენსიური ვარჯიშები მოგვიწევს და გვექნება ორთაბრძოლები სხვა ქვეყნის სპორტსმენებთანაც, თუმც ჩვენ მაინც საჭიროდ ჩავთვალეთ, რომ ლიცენზიანტი მოჭიდავეების გარდა სხვა ბიჭებიც წაგვეყვანა, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ოლიმპიადაზე წამსვლელებს სპარინგპარტნიორობას გაუწევენ. იქიდან დაბრუნებულები თბილისში 5 დღეს გავჩერდებით და 2 აგვისტოს პეკინში წავალთ“.

ანტიკოსთა მსგავსად, ფალავანთა კლუბში ვარჯიშობს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებიც.

ზაზა თურმანიძის ფალავნები თბილისში რამდენიმე დღეს გაჩერდებიან და 16 ივლისს ბორჯომის სასტუმრო „ოლიმპს“ მიაშურებენ, სადაც თვის ბოლომდე დარჩებიან.

**ლექსო მაისურაძე**

კალათბურთი

# შარაბიძის ორწლიანი გზა: ნიკორა-არონა-პამესა



**საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები უკვე სრული შემადგენლობით ემზადება ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირისთვის. ჩვენს 18-წლამდელებს ახლახან შეუერთდა 210-სანტიმეტრიანი გიორგი შარაბიძე, რომელიც ესპანეთში იმყოფებოდა და იქაურ „პამესასთან" გააფორმა კონტრაქტი. მანამდე ის ტენერიფეს „არონაში" თამაშობდა და ამ გუნდს წარმატებების მიღწევაში ეხმარებოდა. სწორედ ამიტომ დაინტერესდნენ მისით გაცილებით სახელიანი „პამესას" ხელმძღვანელები და პერსპექტიული ქართველი ცენტრი თავისთან გადაიყვანეს.** ***გიორგი შარაბიძესთან ლაპარაკი ცოტა წარსულიდან დავიწყეთ...***

**— როგორ და როდის აღმოჩნდი ესპანეთში?**

— „თსუ-ნიკორაში" ვთამაშობდი. 2 წლის წინ თბილისში „არონას" პრეზიდენტი გარსია სანტამარია იყო ჩამოსული, რომელმაც თავის გუნდში გადასვლა შემომთავაზა და მეც დავთანხმდი. თსუ-ში ძირითადში ვერ ვხვდებოდი, ასაკობრივ გუნდში მიწევდა თამაში და გადავწყვიტე, ესპანეთში მეცადა ბედი. იქ თამაშის და განვითარების მეტი შანსი მეძლეოდა.

**— ჰოდა, რას იტყვი „არონაში" გატარებულ პერიოდზე?**

— თავს არ ვიქებ, მაგრამ ტენერიფელებს საკმაოდ მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევაში დავეხმარე. „არონას" ახალგაზრდული გუნდი 15 წელი არ გასულიყო ესპანეთის ჩემპიონატის პლეი ოფში, ხოლო ჩემი და გრიგოლ შვანგირაძის მეთაურობით გასულ სეზონში ეს მოახერხა. გრიგოლი 1991 წელსაა დაბადებული, ორივე „არონას" ლიდერები ვიყავით და ტენერიფელებიც ძალიან გვემადლიერებიან, მათი გუნდი პლეი ოფში რომ გავიყვანეთ, სადაც, სხვათა შორის, მადრიდის „რეალი" ვერ მოხვდა.

**— „პამესამაც" ალბათ ამიტომ დაგადგა თვალი...**

— რა თქმა უნდა. ვალენსიელების წინააღმდეგ მატჩში 26 ქულა გავაკეთე და ცხადია, ამან მათზე დიდი გავლენა მოახდინა.

**— ვინ იყო შენი პირველი მწვრთნელი?**

— ნუგზარ მარკოიშვილი, რომელსაც დიდად ვემადლიერები. ესპანეთში კი ვაჟა კვარაცხელიას დახმარებით წავედი, „არონას" პრეზიდენტი სწორედ მისი მოწვევით იმყოფებოდა თბილისში.

**— „პამესას" ძირითად გუნდში გადასვლის შანსებზე რას იტყვი?**

— ჯერ ამაზე ლაპარაკი ადრეა. თავიდან ახალგაზრდულში ვითამაშებ, ძირითად გუნდთან კი ხშირად მომიწევს ვარჯიში და ვნახოთ. სხვათა შორის, „პამესაშია" თორნიკე შენგელიაც და ჩვენ ვალენსიელთა 20-წლამდელებში ვითამაშებთ. მთავარ გუნდში დამკვიდრებას კი დრო დასჭირდება, იქ ხომ უმაღლესი დონის კალათბურთელები თამაშობენ, მათ შორის საქართველოს ნაკრების ყოფილი გამთამაშებელი შემონდ უილიამსი.

**— აქვე გკითხავ: ვინაა შენი იდეალი კალათბურთელი?**

— დირკ ნოვიცკი. ისე, „არონაში" მადარებდნენ ცნობილი პაუ გასოლის ძმა მარკს, რომელიც პრიმერადივიზიონში თამაშობდა.

**— საქართველოში გადმოვინაცვლოთ. მალე ჭაბუკთა ნაკრებს B დივიზიონის მატჩები ეწყება...**

— 25 ივლისს უნგრეთის ქალაქ სომბათჰეიში ძალიან პრინციპული ტურნირი იწყება. რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, A დივიზიონში გადასვლა უნდა მოვახერხოთ. 2006 წელს შევძელით ელიტაში აღზევება, მაგრამ მერე ისევ დავქვეითდით. საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა გვყავს — ჩემს გარდა არაერთი ლეგიონერია: ნიკა მეტრეველი, კოკა ტომარაძე, ტატო ჩაჩიბაია, თორნიკე შენგელია...

**— ქართველ და ესპანელ ახალგაზრდებს შორის რა განსხვავებას ხედავ„, ისინი უფრო ნიჭიერები არიან?**

— მთავარი განსხვავება პირობებშია, რომლის შედარებაც არ შეიძლება. იქ ყველამ ყველაფერი ზუსტად იცის, როდის რაზე უნდა ივარჯიშოს, როდის რა დავალება უნდა შეასრულოს. საქართველოში თაობა იქსაქსება, ესპანეთში კი თავიდან, ვიდრე სრულწლოვანებას არ უწევენ, ერთად არიან და თვალდახუჭულები უგებენ ერთმანეთს.

**— ესპანეთის ნაკრები რომ ფეხბურთში ევროპის ჩემპიონი გახდა, მაგ დროს ვალენსიაში ხომ არ იყავი?**

— დიახ, იქ ვიყავი, სწორედ მაგ დღეებში გავაფორმე კონტრაქტი. საწაული ზეიმი იყო, სახლში არავინ დარჩა, ყველა ქუჩაში გამოვიდა და ნაკრებში მოთამაშე ვალენსიელი ფეხბურთელების სახელებს ყვიროდნენ.

**ირაკლი ბერტაია**

კრივი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართველები პეკინამდე სომხეთში ჩხუბობენ

**საქართველოს** მოკრივეთა ნაკრები სომხეთში, წახკაძორის სპორტულ ბაზაზე ემზადება პეკინის ოლიმპიადისთვის. ნაკრების თავკაც თენგიზ მესხაძის მეთვალყურეობით 20 მოკრივე ვარჯიშობს.

ბუნებრივია, მთავარი აქცენტი ლიცენზიანტ სპორტსმენებზე კეთდება. შეგახსენებთ, რომ ჩინეთში ორი მოკრივე გვეყოლება: ნიკოლოზ იზორია (57), ვინც წინა, ათენის ოლიმპიადაზეც გამოდიოდა და კახაბერ ჟვანია (69). დანარჩენები სხვა წონებში ნაკრების ლიდერები არიან და სამომავლოდ გადიან მზადებას. ოლიმპიადის შემდგომ, ოქტომბერში ინგლისი ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს და მათაც იქ მოუწევთ ძალების გამოცდა. ისიც ვთქვათ, რომ ქართველებმა საპეკინო ლიცენზიები ბოლო სალიცენზიო ტურნირზე, ათენში მოიპოვეს დიდი წვალების შემდეგ. ჩვენები ერთთავად იმას ჩიოდნენ, მსაჯები უმოწყალოდ გვჩაგრავენო და ათენში ამ მხრივ სიტუაცია სხვანაირი იყო და იზორიამ და ჟვანიამაც მუშტი ლიცენზიას მოარტყეს...

**ლევსო მაისურაძე**

რაგბი

# მესამე და გერმანული

**დღეს** გერმანულ ჰანოვერში შვიდკაცა რაგბიში ბოლო, ფინალური ეტაპი დაიწყება, სადაც 12 უძლიერესი ნაკრებში საქართველოც მოხვდა. ჰანოვერის შვიდკაცას ხუთი საუკეთესო ნაკრები გაისად დუბაიში გასამართ მსოფლიოს თასზე ითამაშებს და თუ საქართველომ საგაისო საგზური მოიპოვა, ეს მისთვის მესამე მსოფლიოს თასი იქნება.

პირველად ჩვენებმა ჯერ კიდევ კლოდ სორელის მწვრთნელობისას, 2001 წელს, არგენტინულ მარ დე პლატაში გამართულ შვიდკაცას მსოფლიოს თასზე ითამაშეს და იქ დებიუტანტებისთვის საპატიოზე მეტი, მე-10 ადგილი დაიკავეს. ჩვენმა მოშვიდკაცეებმა მიჯრით მეორე მსოფლიოს თასზე, 2005 წელს ითამაშეს და შედეგი ერთი ადგილით გაიუარესეს. თუმც ელიტაში მუდამ ტრიალებდნენ და მსოფლიო ეტაპებზე ყოველთვის მოწიწებით პატიჟებდნენ.

2005 წლის შემდეგ კი ვითარება უარესობისკენ შეიცვალა. შვიდკაცა რაგბის ჩვენში თითქოს ყურადღება აღარ ექცეოდა და ქართველებიც მსოფლიო ეტაპების სერიებიდან უმალვე ამოშალეს, არადა, იქამდე ევროპული სერიის რამდენიმე ეტაპზე იმარჯვეს. 2002 წელს ჩვენებმა ლუნელის შვიდკაცა მოიგეს, 2003 წელს ისევ ლუნელის და თბილისის ეტაპებზე გაიმარჯვეს, 2004 წელს კვლავ თბილისის ეტაპზე იჩემპიონეს, 2005 წელს კი ბათუმის შვიდკაცა მოიგეს და ელიტაში დასაბრუნებლად გაემზადნენ.

მომდევნო ორი წელი საქართველოს შვიდკაცა ნაკრები ცდილობდა ელიტაში დაბრუნებას, წლეულს კი შედარებით წარმატებული სეზონი დაიწყო და ევროპაში საუკეთესოებშიც გაერია, თუმც დაბრუნება არც ისე ხმაურიანი გამოუვიდა...

საქართველომ წლეულს ორ ეტაპზე, პოლონეთსა და თბილისში იშვიდკაცა. პოლონეთში მე-5, ხოლო თბილისში მესამე ადგილი დაიკავა და ჰანოვერის ფინალურ ეტაპზე მხოლოდ იმიტომ მოხვდა, რომ მდევრებმა ვერ ივარგეს.

ასეა თუ ისე, ჩვენები თავიდან იწყებენ და, თუ დღეს და ხვალ ჰანოვერში სახუთეულოდ იჩაუქებენ, ზედიზედ მესამე მსოფლიოს თასზე მოხვდებიან.

ჰანოვერში საქართველოს ნაკრებს ჩვენი რაგბის კავშირის პრეზიდენტი გია ნიჟარაძე გაჰყვა. შემადგენლობა კი სერიოზული შეკრიბეს ქართველებმა. ჩვენს რაზმში ყველა მორაგბე მენაკრებეა და საკმაო გამოცდილებაც დაუგროვდათ. ახლა მთავარია, მწვრთნელმა კახა ალანიამ ბიჭების შეთამაშება და მინიმუმ, ჯგუფიდან გასვლა მოახერხოს, რათა დუბაის საგზურისთვის იბრძოლონ.

ჰანოვერში საქართველოს ნაკრები ბოლო, მე-12 ნომრად არის განთესილი, თუმც შვიდკაცაში განთესვა ზოგადი და პირობითია, ამიტოს ჩვენებმა ციფრებს ყურადღება არ უნდა მიაქციონ, მით უმეტეს, ჯგუფურ ეტაპზე ისეთი მეტოქეები არ ჰყავთ, წინასწარ განწირულები იყვნენ.

**ბაჩო სვანიძე**

### საქართველოს ნაკრები

**შალვა სუთიაშვილი, სიმონ მაისურაძე, გიორგი ჩხაიძე, ბიძინა სამხარაძე, მერაბ კვირიკაშვილი, სანდრო თოდუა, გიორგი შკინინი, ჯაბა ბრეგვაძე, ლაშა ხმალაძე, სანდრო ნიჟარაძე, ირაკლი მაჩხანელი, ირაკლი გუნდიაშვილი**

| A ჯგუფი | B ჯგუფი |
| --- | --- |
| პორტუგალია (1) | უელსი (2) |
| ესპანეთი (4) | ირლანდია (3) |
| რუსეთი (5) | იტალია(6) |
| გერმანია (8 | უკრაინა (7) |
| რუმინეთი (9) | პოლონეთი (10) |
| საქართველო (12) | ბელგია (11) |

### საქართველოს განრიგი

12 ივლისი. შაბათი

საქართველო — რუსეთი

გერმანია — საქართველო

საქართველო — რუმინეთი

საქართველო — ესპანეთი

13 ივლისი. კვირა

საქათრველო — პორტუგალია

პლეი ოფები

ფრენბურთი

# საქა-რთველოს ჰამბურგული ევროპა

**ბრაზილიურ-ქართულმა** ქალთა ტანდემმა საქამ და რთველომ ჰამბურგში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე პლაჟის ფრენბურთში ორი გამარჯვება მოიპოვა. ჩვენმა წყვილმა პირველ რაუნდში გერმანელებთან, გოლერთან და ლუდვიგთან, კი წააგო 0:2 (9:21, 17:21), მაგრამ შემდეგ მათთან სათამაშოდ ფრანგების (ჟეიმისი-ჟიროდანო) წყვილი არ გამოცხადდა, რის გამოც საქა-რთველოს მოგება ჩაეთვალა — 2:0 (21:0, 21:0).

მომდევნო შეხვედრაში ქართველების მეტოქე გერმანული (ჰენკაგუენტერი) წყვილი იყო. ჩვენებმა მასპინძლები — 2:1 (16:21, 21:19, 15:13) დაამარცხეს და საუკეთესო 16-ეულში დაიმკვიდრეს ადგილი.

საქას და რთველოს შემდეგი მოწინააღმდეგე ავსტრიული (მონტანიოლი-სვობოდა) დუეტი იქნება.

**ზურაბ მიგრიაული**

| |
|---|
| **კაცები** |
| ნიუპორტი. აშშ. ბალახი. საპრიზო 385 000 დოლარი |

**მეორე წრე**

**ფაბრის სანტორო** (2, საფრანგეთი) — აისამ-ულ-ჰაკ ქურეში (პაკისტანი) 7:6 6:2; **ივან ნავარო პასტორი** (ესპანეთი) — კევინ ანდერსონი (მ, სამხრეთ აფრიკა) 7:6 3:6 6:4; **ვინსენტ სპადეა** (აშშ) — ნიკოლა მაჰუ (3, საფრანგეთი) 6:2 6:3; **ალექსანდრ პეია** (ავსტრია) — დონალდ იანგი (5, აშშ) 7:6 6:3

**მეოთხედფინალი**

**პრაკაშ არმიტრაი** (პაკისტანი) — როჰან ბოპანა (ინდოეთი) 6:4 6:3; **ფრენკ დანსევიჩი** (7, კანადა) — იგორ კუნიცინი (4, რუსეთი) 7:5 6:3

| |
|---|
| **კაცები** |
| გშტაადი. შვეიცარია. თიხნარი. საპრიზო 389 000 ევრო |

**მეორე წრე**

**ვიქტორ ჰანესკუ** (რუმინეთი) — ივო კარლოვიჩი (4, ხორვატია) 6:7 7:6 7:6; **ჟერემი ჩარდი** (საფრანგეთი) — დომინიკ მეფერტი (გერმანია) 6:7 7:6 7:6; **გილერმო გარსია-ლოპესი** (ესპანეთი) — ნიკლას კიფერი (6, გერმანია) უარი; **მიხაილ იუჟნი** (3, რუსეთი) — ფლავიო ჩიპოლა (იტალია) 6:3 6:2

| |
|---|
| **კაცები** |
| ბასტადი. შვედეთი. თიხნარი. საპრიზო 326 000 ევრო |

**მეორე წრე**

**დავიდ ფერერი** (1, ესპანეთი) — ბორის პაშანსკი (სერბეთი) 7:5 6:1; **იარკო ნიემინენი** (7, ფინეთი) — სტივ დარსისი (ბელგია) 6:3 6:1; **ტომი რობრედო** (3, ესპანეთი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:2 6:3; **რობინ სოდერლინგი** (8, შვედეთი) — ოლივიე როხუსი (ბელგია) 6:3 6:3

| |
|---|
| **კაცები** |
| შტუტგარტი. გერმანია. თიხნარი. საპრიზო 568 000 ევრო |

**მეორე წრე**

**იან ჰერნიხი** (ჩეხეთი) — ბრაიან დაბული (არგენტინა) 7:6 0:6 7:6; **ხუან მარტინ დელ პოტრო** (არგენტინა) — სიმონე ბოლელი (5, იტალია) 6:3 3:6 6:3; **ფილიპ კოლშრაიბერი** (4, გერმანია) — იური შუკინი (ყაზახეთი) 6:3 6:3; **ედუარდო შვანკი** (8, არგენტინა) — ანდრეას ბეკი (გერმანია) 7:6 6:2

| |
|---|
| **ქალები** |
| ბუდაპეშტი. უნგრეთი. თიხნარი. საპრიზო 175 000 დოლარი |

**მეორე წრე**

**კლარა ზაკოპალოვა** (7, ჩეხეთი) — მატილდა იოჰანსონი (საფრანგეთი) 6:0 6:1; **პეტრა კვიტოვა** (ჩეხეთი) — მარტინა მიულერი (გერმანია) 6:2 6:1; **კატალინ მაროში** (უნგრეთი) — ცვეტანა პირონკოვა (3, ბულგარეთი) 6:2 7:6; **ბრეტა არნი** (უნგრეთი) — სუზანა კუცოვა (სლოვაკეთი) 6:2 6:1

| |
|---|
| **ქალები** |
| პალერმო. იტალია. თიხნარი. საპრიზო 145 000 დოლარი |

**მეორე წრე**

**მარია კორიცევა** (უკრაინა) — ჰან ჰანი (ჩინეთი) 6:4 3:6 6:3; **ანასტასია პავლიუჩენკოვა** (რუსეთი) — როსანა დე ლოს რიოსი (პარაგვაი) 6:1 6:2; **ტატიანა გარბინი** (8, იტალია) — ოლივია სანჩესი (საფრანგეთი) 7:5 6:4; **ანაბელ მედინა გარიგესი** (2, ესპანეთი) — ნურია ლაგოსტერა ვივესი (ესპანეთი) 6:0 6:4; **მაკა ჩახნაშვილი** (საქართველო) —კორინა დენტონი (იტალია) 2:6 6:1 6:1

# ფაბრის სანტოროს ნიუპორტული ისტორია


ფაბრის სანტორო

**ტაიბრეიკების** სიუხვით გამოირჩა მეორე წრის შეხვედრები შვეიცარიულ გშტაადში. თუმც ამაში გასაკვირი ალბათ არაფერი იქნება, თუ იმასაც დავამატებთ, რომ კორტზე ივო კარლოვიჩი იყო გასული, რომელიც ამ საჩოგბურთო ლატარიის გარეშე იშვიათად ამთავრებს შეხვედრას. ამჯერად კი აყლაყუდა ხორვატსა და ვიქტორ ჰანესკუს მართლაც ზედმეტი მოუვიდათ, რადგანაც მთელი შეხვედრის განმავლობაში კინკილა ბრეიკიც არ გაუკეთებიათ. შედეგად, სამივე სეტის ბედი ტაიბრეიკზე გადაწყდა და მიუხედავად იმისა, რომ კარლოვიჩმა 28-ჯერ ჩააეისა და თან სამი მატჩპოინტი ჰქონდა, საბოლოოდ გამარჯვება მაინც რუმინელს დარჩა.

მეოთხედფინალში ჰანესკუ ახალგაზრდა ჟერემი ჩარდის შეხვდება, რომელსაც ასევე სამი ტაიბრეიკის თამაში მოუწია. თუმც ფრანგს გაცილებით იოლი მეტოქე ჰყავდა კვალიფიკაციიდან მოხვედრილი გერმანელ დომინიკ მაფერტის სახით, რომელსაც წესით იოლად უნდა გამკლავებოდა. მაგრამ ჩარდიმ ამ შეხვედრას ბლომად ძალები შეალია და გერმანელი მატჩის დაწყებიდან მხოლოდ მესამე საათის თავზე გატეხა.

სამაგიეროდ, იოლად იხეირა მიხაილ იუჟნიმ, რომელიც პოლ-ანრი მატიოს მოულოდნელი გავარდნის შემდეგ ტურნირის მოგების მთავარ პრეტენდენტად იქცა, თავად რუსმა კი ფლავიო ჩიპოლა მიჩოგნა.

შვედურ ბასტადში საქმეში პირველად ვიხილეთ მოქმედი ჩემპიონი დავიდ ფერერი. ამ ესპანელს ახლა კარიერის საუკეთესო პერიოდი უდგას, რადგანაც რეიტინგში მეოთხე პოზიციაზეა გამაგრებული, საიდანაც ამ კვირის დასაწყისში ნიკოლაი დავიდენკო გადმოაგდო. ჰოდა, ეტყობა, ესპანელი ჯერ კიდევ ოცნებებში იყო, როცა კორტზე გავიდა, რადგანაც ბორის პაშანსკის დაწინაურების საშუალება მისცა. მისდა საბედნიეროდ, ფერერი მალევე მოეგო გონს და ჯერ დაკარგული მოწოდება დაიბრუნა, შემდეგ კი კიდევ ერთი ბრეიკი გააკეთა და დაწინაურდა კიდეც. მეორე სეტში კი სერბს შანსი აღარ ჰქონდა.

ფერერის შემდეგი მეტოქე მასპინძელთა მთავარი იმედი რობინ სოდერლინგია, რომელიც ბოლო ხანებში საკმაოდ ხეირიანად გამოიყურება და არც ესპანელს დაუხრის თავს. მეორე წრის შეხვედრაში კი ვიკინგი ბელგიელ ქონდრისკაც ოლივიე როხუსს გაუმკლავდა, რისთვისაც ორი სეტი თავისუფლად იმყოფინა.

ყურადღებას იქცევდა ტომი რობრედოსა და იონას ბიორკმანის მატჩიც. მოგეხსენებათ, ამ უკანასკნელმა არცთუ დიდი ხნის წინ განაცხადა, რომ წლის დასასრულს ჩოგბურთიდან მიდის და ამიტომაც ვეტერანს ტრიბუნები გახელებით გულშემატკივრობდნენ. თუმც ბიორკმანს ვერც ამან უშველა, რადგანაც რობრედომ სისწრაფის ხარჯზე ადვილად გაიტანა თავისი და მეოთხედფინალის საგზურიც გაინაღდა. ბიორკმანი კი მშობლიურ კორტსა და მაყურებელს თბილად გამოემშვიდობა.

შტუტგარტში ადგილობრივები ფილიპ კოლშრაიბერმა გაახარა. ეს ბიჭი აქამდე შვაბიაში ყოველთვის წარუმატებლად თამაშობდა, მაგრამ ახლა იოლი მეტოქე შეხვდა ყაზახი იური შუკინის სახით. გერმანელმაც ამით კარგად ისარგებლა, იოლად იხეირა და შტუტგარტის მეოთხედფინალს კარიერაში პირველად უწია. აქ კოლშრაიბერს ხუან მარტინ დელ პოტროსთან ელის რანდევუ, რომელმაც თავის მხრივ სიმონე ბოლელი 2 საათში მიჩოგნა.

ამერიკულ ნიუპორტში გამართული მატჩებიდან სუპერვეტერან ფაბრის სანტოროს გამარჯვება გამოვყოთ. 35 წლის ფრანგმა ამ კორტებზე 2 წლის წინაც იპირველა და მაშინ ტურნირის ყველაზე ასაკოვან ჩემპიონად იქცა. ეტყობა, სანტოროს ისტორიის ხელახლა გადაწერა უნდა, რადგანაც წლეულსაც ტიტულს უმიზნებს. გუშინ გამთენიისას კი ფრანგმა პაკისტანელ აისამ-ულ-ჰაქ ქურეშს გამოუყვანა წირვა.

ქალთა ტურნირების მიმოხილვა კი პალერმოთი დავიწყოთ, სადაც ჩვეულად კარგად გამოდის ანაბელ მედინა-გარიგესი. ეს ესპანელი ბევრი ტიტულებით ნაღდად ვერ დაიკვეხნის, მაგრამ სიცილიაზე უკვე ოთხჯერ უჩემპიონია და ახლა მეხუთეჯერ აპირებს პირველობას. სა-ამისოდ გარიგესი არც თანამემამულეებს ინდობს და ბოლოს აგერ ნურია ლაგოსტერა ვივესს ისე გადაურბინა, თვალი არ დაუხამხამებია.

ბუდაპეშტში აგნეს სჟავაის მარცხით ყურებჩამოყრილი ადგილობრივი გულშემატკივარი კატალინ მორაშიმ გამოაცოცხლა, როცა ყველასთვის მოულოდნელად მესამე ნომრად განთესილი და წლეულს საკმაოდ რიგიანად მოთამაშე ცვეტანა პირონკოვა ადვილად მიჩოგნა.

**კახა ლომაშვილი**

# ლადო ჩიხლაძე ნახევარფინალშია

## ლაბაძე მასპინძელს ვერ მოერია

**აზერბაიჯანში**, ბაქოს თიხნარზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე ტურნირის მეოთხედფინალში პირველ ნომრად განთესილმა ლადო ჩიხლაძემ 7:5 6:4 მოუგო ტურნირის მე-8 ნომერს, 25 წლისა და ATP-ის რეიტინგის 1020-ე საფეხურზე მყოფ ლიბანელ ქარიმ ალაილის და ნახევარფინალში გავიდა.

ამ ეტაპზე ლადოს მეტოქე მე-5 ნომრად განთესილი 22 წლის რუსი, კლასიფიკაციის 755-ე პოზიციაზე მყოფი მიხაილ ვასილიევი იქნება, რომელმაც მეოთხედფინალში 6:7 7:5 6:1 სძლია სოლომონის კუნძულების წარმომადგენელს, კვალიფიკაციიდან წამოსულ მიხაელ ლეონგს.

მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს ტურნირი მეორე და მესამე ნომრები, იტალიელი მატეო ვოლანტე და რუსი დანილა არსენოვი შეხვდებიან.

სამწუხაროდ, მეოთხედფინალურ სტადიაზე შეჩერდა ირაკლი ლაბაძე, ვინც ჰოლანდიაში ქალაქ შევენინგენში მიმდინარე 85 ათასი ევრო საპრიზო ფონდის მქონე ჩელენჯერზე თამაშობდა.

ირაკლის 4:6 6:3 6:1 მოუგო კორტის მასპინძელმა ტიმო დე ბეკერმა. მიუხედავად ამ მარცხისა, ბოლოდროინდელი ტრავმებისა და წარუმატებლობების შემდეგ. ლაბაძის შედეგი მაინც დადებითად უნდა შევაფასოთ.


ლადო ჩიხლაძე

# ამერიკელებმა საპრიზოები გაზარდეს

**აშშ-ს** ღია პირველობის ორგანიზატორები ყოველწლიურად ზრდიან ტურნირის საპრიზოებს, რომელიც წლეულს 20 მილიონს გადააჭარბებს, უფრო ზუსტად, წლევანდელი საპრიზო 20,6 მილიონი დოლარი იქნება, რაც ერთი მილიონით მეტია შარშანდელთან შედარებით.

ერთეულთა თანრიგში კაცთა და ქალთა ჩემპიონები მილიონნახევარი დოლარით შეივსნებენ ჯიბეებს.

აშშ-ის ზაფხულის სერიის ბონუსების გათვალისწინებით, მთლიანმა საპრიზომ შეიძლება, 23 მილიონს მიუკაკუნოს. შეგახსენებთ, რომ ზაფხულის სერიის გამარჯვებულად ცხადდება ის ჩოგბურთელი, რომელიც ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორიაზე მომდევნო ორ თვეში გასამართ ტურნირებზე მთლინობაში საუკეთესო შედეგს აჩვენებს. ხოლო თუ ზაფხულის სერიასა და აშშ-ს ღია პირველობას ერთი და იგივე ჩოგბურთელი მოიგებს, მაშინ ის 2,5 მილიონით გამდიდრდება.

შეგახსენებთ, შარშან ასეთი რამ როჯერ ფედერერმა გააკეთა და მაშინ 2,4 მილიონიც დაისაკუთრა, რაც ყველაზე დიდ საპრიზოდ იქცა ჩოგბურთის ისტორიაში.

**კახა ლომაშვილი**

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი

# ჰოკენჰაიმით კმაყოფილები



ფელიპე მასა

**ჰოკენჰაიმური** ტესტების მესამე და დასკვნით დღეს ტოპ-გუნდებმა პილოტები შეცვალეს, ანუ „ფერარისა“ და „მაკლარენ-მერსედესს“, ამჯერად არა კიმი რაიკონენი და ლუის ჰემილტონი, არამედ, შესაბამისად, ფელიპე მასა და ჰეიკი კოვალაინენი უტარებდნენ ტესტირებას.

შეგახსენებთ, რომ ტესტების პირველ ორ დღეს ყველაზე სწრაფი ჰემილტონის „მაკლარენი“ იყო, ხუთშაბათს კი ყველას მასამ აჯობა. „ფერარის“ ბრაზილიელმა ჰოკენჰაიმის ტრასას 109-ჯერ შემოუარა და საუკეთესო წრეზე წუთი და 14,989 წამი აჩვენა.

„კარგი სამუშაო დღე იყო, ბლომად კილომეტრები გავიარე. მანქანა დაბალანსებული იყო და ვფიქრობ, გერმანიის დიდ პრიზზე კონკურენტუნარიანები ვიქნებით, თუმცა ნუ დავივიწყებთ, რომ ეს სატესტო სესია „მაკლარენმაც“ დიდებულად ჩაატარა“ — განაცხადა დღის ბოლოს მასამ.

ბრაზილიელს სულ მცირეით ჩამორჩა „ჰონდას“ ინგლისელი მრბოლი ჯენსონ ბატონი (1.15,081), მესამე შედეგი კი „მაკლარენ-მერსედესის“ ფინელ პილოტ ჰეიკი კოვალაინენს (1.15,289) ჰქონდა.

მეოთხე „რედ ბულის“ ავსტრალიელი მარკ ვებერი (1.15,378) იყო, მეხუთე — „ტორო როსოს“ გერმანელი სებასტიან ფეტელი (1.15,556), ხოლო მეექვსე შედეგი „რენოს“ ესპანელმა ფერნანდო ალონსომ (1.15,593) აჩვენა.

ორგზის ჩემპიონი ესპანელი კმაყოფილი დარჩა ტესტების ბოლო დღით. „ნამდვილი სამუშაო დღე იყო და ასეთ პირობებში სასიამოვნოც კი იყო მუშაობა. ვფიქრობ, მზიან ამინდში „რენო“ გაცილებით უკეთესია და ვიმედოვნებ, რომ გერმანიის დიდი პრიზის გათამაშებისას სწორედ ასეთი ამინდი იქნება. მთავარი კი ის გახლავთ, რომ გუნდი სწორი მიმართულებით მიდის, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი“ — ბრძანა ტესტების დასრულების შემდეგ ალონსომ.

**ბახა ლომაძე**

# ჰაიდფელდი პოზიციებს იბრუნებს
## კუბიცა ჩემპიონობაზე ფიქრობს

**„BMW-ზაუბერისთვის“** ჰოკენჰაიმურმა ტესტებმა ჩვეულებრივ სამუშაო ატმოსფეროში ჩაიარა და ახლა გერმანული საჯინიბო მშობლიური დიდი პრიზისთვის სრულ მზადყოფნაშია. ერთი კია, რომ გუნდის თავკაცების წინაშე კვლავ გაჩნდა პილოტთა სუბორდინაციის საკითხი. თითქოს ყველაფერი ნათელი იყო, პოლონელი რობერტ კუბიცა ერთი ხანობა სულაც გენერალურ კლასიფიკაციას ლიდერობდა და რა სალაპარაკო და გასარჩევი იყო, თუ ვინ ითვლებოდა „BMW-ზაუბერის“ პირველ ნომრად, მაგრამ სილვერსტოუნმა და დიდი ბრიტანეთის დიდმა პრიზმა, ყველაფერი შეცვალაო ვერ ვიტყვით, მაგრამ საკმაოდ რომ აურ-დაურია სურათი, ამას წყალი არ გაუვა.



ნიკ ჰაიდფელდი სილვერსტოუნის პოდიუმზე

სილვერსტოუნზე კუბიცა უქულოდ დარჩა, ხოლო გერმანელმა ნიკ ჰაიდფელდმა, რომელიც სეზონის დასაწყისში მოიაზრებოდა კიდეც გუნდის პირველ პილოტად, ურთულეს პირობებში დიდებულად ირბოლა, მეორემ უწია ფინიშს და ახლა ის თანაგუნდელს გენერალურ კლასიფიკაციაში 10 ქულითღა ჩამორჩება.

ამასთან დაკავშირებით, „BMW-ზაუბერის“ თავკაცმა მარიო ტაისენმა შემდეგი კომენტარი გააკეთა: „ტესტებისას ჰაიდფელდი ყოველთვის კუბიცას დონეზე იყო, ახლა კი დაამტკიცა, რომ ურთულეს პირობებში შეუძლია წარმატების მიღწევა. ვფიქრობ, ნიკი შემდეგ დიდ პრიზზეც კონკურენტუნარიანი იქნება“.

„ჩვენს მანქანას უზარმაზარი პოტენციალი გააჩნია, რომელიც ბოლომდე არ აგვითვისებია, თუმცა დღევანდელი დონითაც ჩვენ საბრძოლველად მზად ვართ“ — ეს, უკვე თავად ჰაიდფელდის სიტყვებია, რომელიც გუნდშიც იბრუნებს დაკარგულ პოზიციებს და ერთიორი წარმატებული რბოლის შემთხვევაში, იქნებ საჩემპიონო ბრძოლაშიც ჩაებას.

თუმცა, ამ წუთისთვის ჩემპიონობაზე კუბიცა უფრო ფიქრობს, ოლონდ იმ შემთხვევაში, თუ დიდი სამეულის (კიმი რაიკონენი, ლუის ჰემილტონი, ფელიპე მასა) წევრები შეცდომებს დაუშვებენ.

„თუ ფავორიტები კვლავაც დაუშვებენ შეცდომებს, მაშინ მე შანსი მექნება. ამისთვის კი საჭიროა სტაბილურად დავაგროვო ქულები და ამ მხრივ სილვერსტოუნზე ჩემი შანსები გავანიავე. უახლოეს ეტაპებზე გამოჩნდება, შეგვიძლია თუ არა საჩემპიონო ბრძოლაში მონაწილეობა“ — ბრძანა კუბიცამ, რომელიც, შეგახსენებთ და გენერალურ კლასიფიკაციაში ოდენ ორი ქულით ჩამორჩება ჰემილტონ-რაიკონენ-მასას სამეულს.

**ბახა ლომაძე**



95-ე ტურ დე ფრანსი. 5-27 ივლისი

# გაულიდან კირხენამდე



კიმ კირხენი

**ზუსტად** 50 წლის წინ, 1958 წელს ჩარლი გაულმა „ტურ დე ფრანსი“ მოიგო და მას შემდეგ ლუქსემბურგელ ველოსიპედისტს უპრესტიჟულესი ველოტურის ლიდერის სარგო ყვითელი მაისურა აღარ სცმია. და აი, ნახევარი საუკუნის შემდეგ „ტურის“ ლიდერი ისევ ლუქსემბურგელია, ამერიკული „კოლუმბიას“ მრბოლი კიმ კირხენი, რომელიც პირველივე ეტაპიდან მოყოლებული, უაღრესად სტაბილურია ბარშიც, მთებშიც, ინდივიდუალურ რბოლაშიც და ეს უნივერსალიზმი მას მეექვსე, წლევანდელი „ტურის“ პირველი სამთო ეტაპის შემდეგ დაუფასდა.

ლუქსემბურგელი მრბოლები და ამერიკული ველოგუნდები — „კოლუმბია“ და „ჯერმენ შიპოტლი“ ცალკე სალაპარაკო თემაა. კირხენის გარდა, გენერალური კლასიფიკაციის პირველ ოცეულში კიდევ ორი ლუქსემბურგელია — ძმები ფრენკ და ენდი შლეკები, რომლებიც მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე ადგილებზე არიან და ლიდერ თანამემამულეს, შესაბამისად, წუთითა და 56 და წუთითა 58 წამით ჩამორჩებიან.

შლეკები დანიური CSC-ის მრბოლები არიან და ამ ჯერზე მათ გუნდის ესპანელი ლიდერის კარლოს სასტრეს გრეგარობა მოუწევთ, სამომავლოდ კი ისინი თავად გაიწევენ ყვითელი მაისურასკენ, მით უმეტეს, რომ ფრენკი ჯერ 28 წლისაა, ხოლო ენდი — სულაც 23-ის.

სასტრე კი ლიდერს წუთითა და 34 წამით ჩამორჩება და მთებში ძმები შლეკებისნაირი თანაშემწეების მყოლე უაღრესად საშიში იქნება.

ახლა ამერიკულ ველოგუნდებზე ვთქვათ. პირველ ოცეულში „კოლუმბიას“ კირხენის გარდა, კიდევ ორი მრბოლი ჰყავს — უნივერსალი შვედი ტომას ლოვკვისტი მეექვსეა (+54 წმ), ხოლო ვეტერანი ამერიკელი ჯორჯ ჰინკეიპი — მეთხუთმეტე (+1.45). ასეთი ხალხის გვერდით ყოლა კირხენისთვისაც ძალზე ბევრს ნიშნავს, მაგრამ ამ ლუქსემბურელისადმი უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, გავბედავთ და ვიტყვით, რომ დიდ მთებში და განსაკუთრებით ალპებში, თავად კირხენს გაუჭირდება ფავორიტებთან ბრძოლა.

ჯერჯერობით მშვენივრად დაქრიან „ჯერმენ შიპოტლის“ ველოსიპედისტებიც. ამ წუთისთვის ამერიკელი კრისტინ ვანდეველდე და ბრიტანელი დევიდ მილარი ლიდერს, შესაბამისად, 44 და 47 წამით ჩამორჩებიან და გენერალურ კლასიფიკაციაში მეოთხე-მეხუთე ადგილებზე არიან. წლეულს ნაკლებად სავარაუდოა და სამომავლოდ კი ვანდეველდე, ვინც მთებში მშვენივრად დადის, ყველასთვის ანგარიშგასაწევი ძალა იქნება.

მეექვსე ეტაპის ერთ-ერთი მოულოდნელობა დამიანო კუნეგოს მარცხი იყო. „ჯიროს“ ძველმა ჩემპიონმა წლეულს მთელი აქცენტი „ტურზე“ გააკეთა, უმთავრეს ფავორიტთა ხუთეულშიც მოიაზრება და ამდენად, მოულოდნელი იყო მისი ჩამორჩენა ეტაპის ბოლო აღმართში. თუმც მისი გუნდის, „ლამპრეს“ თავკაცები ამ ჩამორჩენის გამო დიდად არ ღელავენ, ვერავითარ ტრაგედიას ვერ ვხედავთ, დამიანო დიდ ველოტურებზე პირველ კვირას, ყოველთვის სუსტად ატარებს და მერე უმატებსო.

ვნახოთ, როგორ მოუმატებს. ჯერჯერობით კი იტალიელი კირხენთან წუთსა და 42 წამს აგებს და მე-14 ადგილზეა.

ვნახოთ, ვნახოთ, კითხვები ჯერ კიდევ ბევრია, ჰორიზონტზე კი პირინეები გამოჩნდა. ხვალ და ზეგ, უკვე ნამდვილი მთები იქნება — ხვალ ორი პირველი კატეგორიის მწვერვალით, ოღონდაც დაღმართში ფინიშით და ზეგ კი ორი უმაღლესი სირთულის მქონე მთით და აღმართში ფინიშით.

გუშინ კი ერთი რიგითი ეტაპი იყო შუა საფრანგეთის საშუალომთიანეთში. ბრიუდედან აურილაკამდე ველოქარავანმა 159 კილომეტრი გაიარა.

ეტაპი 24 წლის ესპანელმა, „კაის დეპარნის“ მრბოლმა ლუის ლეონ სანჩესმა მოიგო, რომელიც თითქმის მთელი გზა აქტიური იყო, მოწინავე ჯგუფს კი ფინიშამდე რამდენიმე კილომეტრით ადრე, მეხამე კატეგორიის მთაზე გაექცა და უახლოეს მდევრები 6 წამით ჩამოიტოვა უკან.

საერთო ჩათვლაში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ დევიდ მილარმა მეხუთედან მეშვიდე ადგილზე ჩაინაცვლა.

**მე-7 ეტაპი. ბრიუდე-აურილაკი. 159 კმ**

| | |
|---|---|
| 1. ლუის ლეონ სანჩესი (ესპანეთი, „კაის დეპარნი“) | 3სთ 52წთ 53წმ |
| 2. შტეფან შუმახერი (გერმანია, „გეროლშტაინერი“) | +6 |
| 3. ფილიპო პოზატო (იტალია, „ლიქუიგასი“) | |
| 4. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, „კოლუმბია“) | |
| 5. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაის დეპარნი“) | ყველას იგივე ჩამორჩენა |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, „კოლუმბია“) | 28სთ 23წთ 40წმ |
| 2. კედელ ევანსი (ავსტრალია, „ლოტო“) | +6 |
| 3. შტეფან შუმახერი (გერმანია, „გეროლშტაინერი“) | +16 |
| 4. კრისტიან ვანდეველდე (აშშ, „ჯერმენ შიპოტლი“) | +44 |
| 5. დენის მენშოვი (რუსეთი, „რაბობანკი“) | +1.03 |

# პაუელი ჩასაფრდა



ასაფა პაუელი

**ძნელი** გასახსენებელია, 100 მეტრზე სირბილში ბოლოს როდის შეიქმნა ასეთი მჭიდრო კონკურენცია. ბოლო წლებში დიდ ტურნირებსა და ოლიმპიადებზე ხშირად ისეთი შემთხვევითი „ვილაცეები“ იმარჯვებდნენ, მათ ნამდვილად ვერ დაარქმევდი მსოფლიოს უსწრაფეს კაცებს. მაგალითად, 2003 წელს პარიზში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატისას, იმ ეპოქაში საუკეთესო მორის გრინს ტრავმა სტანჯავდა, სხვები კი დიდად ვერ ვარგოდნენ და უსახურზე უსახური შედეგით, 10.03 წამით, იმარჯვა სენტ კიტსისა და ნევისის დროშით მორბენალმა კიმ კოლინზმა. არადა, ახლა ასეთი დრო ბარე სამი-ოთხი ფიქსირდება კარგად განვითარებული სამძლეოსნო ქვეყნების შიდა ჩემპიონატებში.

მაგრამ სულ სხვაა ახლა. ის პერიოდი ქარიშხლისწინა „საეჭვო“ ჩახუთულობას ჰგავდა, მერე კი ერთბაშად წამოვიდნენ მართლა ქარივით ბიჭები — მსოფლიოს ბევრგზის რეკორდსმენი, იამაიკელი ასაფა პაუელი, 2007 წელს ოსაკას მსოფლიოს ჩემპიონატზე მისი გამსწრები, ამერიკელი ტაისონ გაი და ბოლოს, კიდევ ერთი იამაიკელი, ჯეელი უსაინ ბოლტი, რომელმაც წლეულს პაუელს რეკორდი რაღაც ფარტასტიკური შედეგით, 9,72 წამით ჩამოართვა.

ეს სამივე სპრინტერი ძალიან სწრაფია და მათგან ვის დარჩება ოლიმპიური ოქრო, ამის გამოცნობა მძლეოსნობის სპეციალსტ-პროგნოზისტს კი არა, ნოსტრადამუსს გაუჭირდებოდა, ცოცხალი რომ იყოს.

პაუელი წლების განმავლობაში საუკეთესო შედეგებს აცხობდა, რეკორდებსაც ამყარებდა, მაგრამ ორი კაცი ისე წამოეწია, რომ 26 წლის იამაიკელმა უკან მოხედვაც ვერ მოასწრო. მას, ფაქტობრივად, აღარაფერი არ შერჩა, ექსრეკორდსმენის ბრწყინვალებადაკარგული სტატუსის გარდა. რეკორდის ჩამორთმევის შემდეგ 4 წლით უმცროსმა ბოლტმა მას უშუალოდაც გაასწრო, თანაც სამშობლოში და იამაიკის ახალი სახე გახდა. მერე ასაფა თავს იმითლა იმშვიდებდა, იამაიკის ჩემპიონატში ბოლტთან შეჯიბრი ტრავმის გართულების თავიდან ასაცილებლად, ნაადრევად შევწყვიტე და ენერგია ოლიმპიადისთვის დავზოგეო. აქედანაც ჩანს, რომ ექსრეკორდსმენს უჭირს. საუკეთესო წლები უკან დარჩა, პეკინის ოლიმპიადა მისთვის, პრაქტიკულად, ბოლო შანსად რჩება, არადა, უდავოდ, სწრაფ და ნიჭიერ მორბენალს, მსოფლიოს და ოლიპიური ტიტულების გარეშე მოუწევს დიდი სპორტიდან წასვლა, რაც ნამდვილად გულდასაწყვეტი იქნებოდა.

პაუელმა მიმდინარე სეზონში უკან დააბრუნა რამდენიმე დიდი ტურნირიდან მიწვავა, რათა პეკინის სამზადისისთვის დაეთმო მთელი თავისი დრო. შეეგუა კიდეც „პირველი კაცის“ სტატუსის დაკარგვას და ამბობს, ასე უფრო მყუდროდ ვგრძნობ თავსო. რას უნდა ნიშნავდეს მისი მიჩუმათება? სარბიელიდან გაპარვას, თუ მშიერი მტაცებლის ბუჩქებში ჩასაფრებას? ალბათ, იგი უფრო მსხვერპლის მოლოდინში გაყურსულ მტაცებლად თვლის საკუთარ თავს.

„ყოველთვის კარგია, როცა არავინ გაწუხებს და არავის ყურადღებას არ იქცევ. წინა სამი წლის განმავლობაში მთელი მსოფლიო მე მთვლიდა ფავორიტად, მაგრამ, დიდწილად, ფსიქოლოგიური წნეხის გამო ვერ ვახერხებდი გამარჯვებას. ახლა კი მთელი მსოფლიო ბოლტის და გაის უმზერს გამადიდებელი შუშიდან და მე სავსებით მაწყობს ეს სიტუაცია — დამშვიდებული საუბრობს იამაიკელი ექსრეკორდსმენი — მე არ ვუთმობ დიდ დროს მეტოქეებზე ფიქრს, უფრო საკუთარ თავს ვამზადებ დიდი შეჯიბრისთვის და პეკინში თუ ისე გავიქეცი, როგორც შემიძლია, მაშინ ვერავინ შემაშინებს“.

**ვანო ძოზიაშვილი**

# მწარე დეჟავიუ

## როულინსონი მეორე ოლიმპიადას ტოვებს




**ტრავმებმა** ისე უმოწყალოდ დარია ხელი თარჯმორბენალ ქალებს, რომ პეკინში 400 მეტრ თარჯრბენში ქალთა შეჯიბრი იქნებ გასაუქმებელიც კი გახდეს. რუსმა მსოფლიოს რეკორდსმენმა იულია პეჩორკინამ თქვა უარი ოლიმპიადაზე, ახლა კი იმავეს გაკეთება ორგზის მსოფლიოს ჩემპიონს, ავსტრალიელ იანა როულინსონს მოუხდა.

როულინსონმა 2007 წლის სექტემბერში ოსაკაში მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო, შემდეგ შანხაიში ერთ კომერციულ ტურნირზე ირბინა და ისე იტკინა ცერა თითი, რომ 9 თვე აღარ გასულა სარბენ ბილიკზე. ავსტრალიელმა რამდენიმე დღის წინ პოლონურ ბიდგოშჩში სცადა სირბილი, მაგრამ მიხვდა, რომ საქმე ცუდად იყო.

„საშინლად იმედგაცრუებული ვარ. დიდი ხანი ვფიქრობდი, რა მექნა და აი, ბოლოს ყველაფერს ავტომატურად გაეცა პასუხი — ისევ მეტკინა ცერი! გუშინ სარბიელზე გავედი, მაგრამ თარჯებზე ხტომა კი არა, სწორზე სირბილიც ვეღარ შევძელი. მორჩა, ვერც ამ ოლიმპიადაზე წავალ“.

როულინსონმა მერე დასძინა, დეჟავიუს გრძნობა მაქვსო. 25 წლის ავსტრალიელი ოთხი წლის წინაც ზუსტად ანალოგიურ ჩიხში აღმოჩნდა. 20-ისა იყო, 2003 წელს პარიზში მსოფლიოს ჩემპიონი რომ გახდა, მაგრამ მერე ტრავმა მიიღო და 2004 წლის ათენის ოლიმპიადა გამოტოვა. არადა, უნიჭიერესი სპორტსმენია და ავსტრალიაში ბევრს დაწყვეტს გულს, ოლიმპიური ოქრო რომ ვერ მოიგოს.

**ვანო ძოზიაშვილი**




მარტინა დანისოვა-ჰრასნოვა

# ქალი და ურო

**მას** შემდეგ, რაც 2007 წელს დოპინგ-ტესტზე ჩავარდა ორი რუსი „გოგონა“ — მსოფლიო რეკორდსმენი ტატიანა ლისენკო და ექსრეკორდსმენი გულფია ხანაფეევა, ქალ უროსმტყორცნელთა სექტორს გამოკვეთილი მედრომე არ ჰყოლია. ეს რუსები ადრე ყველას ამარცხებდნენ და ერთმანეთთან შეჯიბრში როგრიგობით ისაკუთრებდნენ მსოფლიო რეკორდს, მაგრამ თურმე რის ხარჯზე...

თავისუფალ ტახტს წლეულს რამდენიმე პრეტენდენტი გამოუჩნდა — ძველებს, მაგალითად კუბელ იფსი მორენოს და პოლონელ კამილა სკოლიმოვსკას ახლებიც გაეჯიბრნენ და გვერდით ჩაჩოჩეს. 77,32-მეტრიანი ნატყორცნით სეზონის რეკორდს დაეუფლა ბელარუსი აქსანა მიანკოვა, რომელიც ლისენკოს რეკორდს 1,29 მეტრით ჩამორჩა. თუმც პეკინში მას ოქრო ნაღდად არ აქვს გარანტირებული, რაკიღა გამოცდილ მორენოსსკოლიმოვსკას რომ თავი დავანებოთ, ბოლო დროს ჰორიზონტზე კიდევ ერთი ზორბა მეუროვე ქალი გამოიკვეთა.

სლოვაკმა მარტინა დანისოვა-ჰრასნოვამ თავისი სამძლეოსნო კარიერის განმავლობაში სხვა რამეების შორის გადაგდებაც სცადა. იყო ბირთვის მკვრელიც და ბადროს მტყორცნელიც, მაგრამ მაინც და მაინც გადასარევად ვერც ერთში ვერ გამოდიოდა. ბოლოს საკუთარ თავში უროს მტყორცნელის ნიჭი აღმოაჩინა და შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე სერიოზული გამოცდა გაიარა, თუმც მთლად კარგად ვერ ჩააბარა — საუკეთესო ნატყორცნი 68,15 მეტრს უწია. მაგრამ წლეულს ის მძლავრ მტყორცნელად ჩამოყალიბდა და ივნისში ზედიზედ ორ ტურნირზე გადააცილა ურო 74 მეტრს. და თუმცა ლისენკოს რეკორდამდე მაშინ კარგა 4 მეტი დააკლდა, ხალხი მაინც ალაპარაკდა — ცოტა ხანში ეს იქნება ვინც იქნებაო.

ახლახანს კი სლოვაკმა მეუროვემ ფრანგულ რეიმსში გამართულ შეჯიბრში უფრო გაიმყარა სწრაფად მზარდი ოსტატის სახელი, როდესაც ურო 76,82 მეტრზე გასტყორცნა და ყველა დროის მე-15 შედეგი აჩვენა, უძლიერეს მეუროვე ქალთა შორის კი საპატიო მე-ხუთე ადგილი დაიკავა. ამ ნატყორცნით დანისოვამ უკვე ჩამოიტოვა მორენო, ხოლო მიანკოვასა და სკოლიმოვსკამდე ბევრიც აღარაფერი აკლია.

ურო რომ გაფრინდა, მივხვდი, რომ საკუთარ რეკორდს გადავაჭარბებდი, მაგრამ ამხელა მაჩვენებელზე როგორ ვიოცნებედიო — ასეთი მოკრძალებით გამოხატა სლოვაკმა სიხარული. ისე კი მან სტაბულირად კარგად ისროლა, ექვსი ცდიდან არცერთი არ გაცუდებია და ხუთჯერ გადააცილა 70 მეტრს, ხოლო 76 მეტრს იქით ორჯერ დასცა რკინის წნელმობმული ბირთვი.

რეიმსიდან საკმაოდ შორს, ფინურ ლაჰტიში კი კაცი მეუროვეები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. სადღეისოდ საუკეთესოთაგან იქ მხოლოდ უნგრელი კრისტიან ფარსი გახლდათ და მას მძლავრი მეტოქეები არ ედგნენ გვერდით, მაგრამ ფარსმა მაინც მოინდომა და ერთბაშად სამჯერ გადააცილა ურო გროსმაისტერულ 80 მეტრს. ბოლო, მეექვსე ცდაზე მან 81,96 შედეგი აჩვენა და სლოვენიელი პრიმოჟ კოზმუსის სეზონის რეკორდი ზუსტად ნახევარი მეტრით გააუმჯობესა. წლეულს კარგად სტყორცნიან კოზმუსი, იაპონელი კოჯი მუროფუში და ბელარუსი ანდრეი ვარანცოვი, ყველანი 81-მეტრიანები არიან, მაგრამ კრისტიან ფარსი მაინც ყველაზე სტაბილური ჩანს და აგერ უკვე მეხუთე ტურნირზე გადააცილა ურო სულ ცოტა 80 მეტრს. სხვათა შორის სახსენებლად: მსოფლიო რეკორდი 86,74 მეტრს შეადგენს და მას აგერ 22 წელია ფლობს საბჭოთაკავშირელი იური სედიხი.

**ვანო ძოზიაშვილი**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge